

დამტკიცებულია „საქართველოს

ეროვნული ბანკის“ მიერ



გაცემის სახელმწიფო რეგისტრაციის

ნომერი

GE 2700703566-1-01

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო

საიდენტიფიკაციო ნომერი

GE 2700703566

ამ „პროსპექტის“ დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება "ბაზვი ჰაიდრო პაუერ"

(საიდენტიფიკაციო კოდი: 205270810)

საბოლოო პროსპექტი

\$ 1,265,000 (ერთი მილიონ ორასსამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ობლიგაციები 9.4 საპროცენტო განაკვეთით (კუპონი) წელიწადში. „ობლიგაციებს“ ვადა გასდის მათი გამოცემიდან და ბაზარზე განთავსებიდან 10 წელიწადში. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება არის \$ 1'000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი. გამოცემის ფასი: ნომინალური ღირებულების 100%.

ზოგადი ინფორმაცია პროსპექტისა და შეთავაზების შესახებ

ეს „პროსპექტი“ (შემდგომში "პროსპექტი") მომზადებულია შპს "ბახვი ჰაიდრო პაუერის" მიერ, რომელიც დაარსებულია საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 2009 წლის 15 იანვარს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 205270810, იურიდიული მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 49, 0162, თბილისი, საქართველო (შემდგომში "კომპანია" ან "ემიტენტი").

ეს „პროსპექტი“ მომზადებულია \$ 1,265,000 (ერთი მილიონ ორასსამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების კომპანიის უსახელო ობლიგაციების (სავალო ფასიანი ქაღალდები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით) გამოცემასთან დაკავშირებით. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 აშშ დოლარი (ათასი ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი); წლიური საპროცენტო განაკვეთი (კუპონი) არის ნომინალური ღირებულების 9.4 პროცენტი. საპროცენტო სარგებლის დაგროვება მოხდება „ობლიგაციების“ გამოცემისა და ბაზარზე განთავსების დღეს, მათი გამოსყიდვის დღემდე. ობლიგაციების პროცენტის გადახდა მოხდება ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ, "შეთავაზების მიმოხილვით" გათვალისწინებულ დღეებში. საპროცენტო სარგებლის პირველი გადახდა მოხდება 2018 წლის 3 მაისს. „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება ძირითად თანხაზე მასზე დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო განაკვეთით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 10 წელიწადში ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან, რაც არის 2027 წლის 3 ნოემბერი.

„კომპანიამ“ შესაძლოა საკუთარი შეხედულებისამებრ გამოისყიდოს „ობლიგაციები“ მთლიანად, მაგრამ არა ნაწილობრივ, ნებისმიერ დროს, 30 დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზე, მათი გადაუხდელი ძირითადი თანხის ოდენობით, მათი გამოსყიდვის დღისთვის არსებულ დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად (იხ. „ობლიგაციების პირობები“, 6(ა) პირობა - „გამოსყიდვა“).

„კომპანიას“ შეუძლია გამოისყიდოს „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე მათი გამოსყიდვის დღემდე, და ამგვარად შესყიდული ობლიგაციების ფლობა ან გაყიდვა შესაძლებელია „კომპანიის“ არჩევანის შესაბამისად.

„კომპანიამ“ შეიძლება ასევე გამოისყიდოს „ობლიგაციები“ მთლიანად, მაგრამ არა ნაწილობრივ, მათი გადაუხდელი ძირითადი თანხის ოდენობით, გამოსყიდვის დღისთვის მათზე დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად, საქართველოს საგადასახადო სისტემაში გარკვეული ცვლილებების მოხდენის შემთხვევაში (იხ. „ობლიგაციების პირობები“, 7 (გ) პირობა - „გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით“).

„ემიტენტი“ და ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტები განახორციელებენ ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას და ბაზარზე განთავსებას. ეს „პროსპექტი“ ძალაშია „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებამდე. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებებს.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ შემდგომ დაგვარად სწრაფად, მაგრამ არაუგვიანეს სამი თვისა, ემიტენტი წარადგენს განცხადებას საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში არასაღისტინგო ფასიან ქაღალდებად დაშვების თაობაზე. ასეთი დაშვების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება „ობლიგაციებით“ ვაჭრობა საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ინვესტიცია ობლიგაციებში დაკავშირებულია დიდ რისკთან. ნებისმიერი პოტენციური ინვესტორი, რომელიც იყიდის ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკურ რისკთან გამკლავებისთვის და უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ობლიგაციების ძირი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდა დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. იხ. პროსპექტის "რისკის-ფაქტორები" იმ რისკ-ფაქტორების ტიპებთან მიმართებაში, რომლებიც დაკავშირებულია ობლიგაციებში ინვესტიციებთან. არც ეს „პროსპექტი“ და არც „კომპანიის“ ან ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტების მიერ მოწოდებული რაიმე ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით არ არის განკუთვნილი იმ რისკების შეფასებისთვის, რომლებიც უკავშირდება ობლიგაციებში ინვესტირებას. თითოეული ინვესტორისთვის რეკომენდებულია თვითონ განახორციელოს ინვესტირებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების შეფასება.

ეს „პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს და შეივსოს გარემოებების ცვლილების შემთხვევაში. „ემიტენტი“ აცნობებს ინვესტორებს ასეთი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. აკრძალულია „ობლიგაციების“ გაყიდვა ან საჯარო შეთავაზება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ „პროსპექტის“ დამტკიცებამდე. „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, როგორც ეს დაშვებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ეს „პროსპექტი“ არ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების შეთავაზებას გასაყიდად ისეთ იურისდიქციაში, სადაც ასეთი შეთავაზება არაკანონიერია. „ობლიგაციები“ არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული რომელიმე სხვა ქვეყანაში, საქართველოს გარდა.

„ობლიგაციები“ არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული 1933 წლის ამერიკის შეერთებული შტატების „ფასიანი ქაღალდების აქტის“ საბოლოო რედაქციის თანახმად (შემდგომში მოხსენებული როგორც „აშშ-ს ფასიანი ქაღალდების აქტი“) ან აშშ-ს ნებისმიერი კანონის თანახმად ფასიანი ქაღალდების შესახებ, და გარდა აშშ-ს „ფასიანი

ქალაქების აქტით“ გათვალისწინებული კონკრეტული გამონაკლისებისა, აკრძალულია „ობლიგაციების“ გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება ან მიწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„პროსპექტი“ მომზადებულია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. „პროსპექტის“ საბოლოო ვერსია გამოქვეყნდება და ხელმისაწვდომი იქნება „კომპანიის“ ვებ-გვერდზე.

„კომპანია“ პასუხისმგებლობას იღებს ამ „პროსპექტში“ მოცემულ ინფორმაციაზე. კომპანიის საუკეთესო ცოდნისა და რწმენის მიხედვით (რომელმაც მიიღო ყველა გონივრული ზომა აღნიშნულის უზრუნველსაყოფად), ამ „პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ფაქტებს და მასში გამოტოვებული არ არის ისეთი რამ, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ამ ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე.

არც „კომპანია“ და არც ფასიანი ქალაქების განთავსების აგენტები არ აკეთებენ რაიმე სახის განცხადებას „ობლიგაციების“ პოტენციური ან რეალური მყიდველების წინაშე, ასეთი მყიდველების მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერებასთან დაკავშირებით მასზე მოქმედი შესაბამისი საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის შესაბამისად.

არავის არ აქვს უფლება გასცეს რაიმე ინფორმაცია ან გააკეთოს განცხადება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ „პროსპექტით“, და ასეთი სახის ინფორმაციას ან განცხადებას არ უნდა დაეყრდნოთ, რადგან ის არ არის ავტორიზებული „კომპანიის“ ან ფასიანი ქალაქების განთავსების აგენტების მიერ. ამ „პროსპექტის“ მიწოდება ან მასთან დაკავშირებით განხორციელებული გაყიდვა არავითარ გარემოებებში არ გულისხმობს „კომპანიის“ საქმიანობის უცვლელობას ამ ქმედებების განხორციელების თარიღის შემდეგ.

ინვესტორებმა არ უნდა ჩათვალონ ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული ინფორმაცია იურიდიულ, საქმიან ან საგადასახადო რჩევად. თითოეულმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს თავის მრჩეველებთან, საჭიროების შესაბამისად, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას და იმის განსაზღვრისას, კანონით ნებადართულია თუ არა ფასიანი ქალაქების შექმნა მოქმედი კანონიერი ინვესტიციების ან მსგავსი კანონების ან რეგულაციების შესაბამისად.

საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „კომპანიის“, „ობლიგაციების“ და ამ შეთავაზების პირობების საკუთარ გამოკვლევას, მათ შორის მათთან დაკავშირებული უპიტესობებისა და რისკების ჩათვლით. იხილეთ "რისკ-ფაქტორები". თითოეულმა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს „ობლიგაციებში“ ინვესტირების შესაბამისობა ამ ინვესტორის საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, თითოეულ პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- (i) ჰქონდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ობლიგაციების, ობლიგაციებში ინვესტირების დადებითი მხარეებისა და რისკების, და ამ „პროსპექტით“ ან ნებისმიერი შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის სათანადო შეფასების ჩასატარებლად;
- (ii) ხელი მიუწვდებოდეს და იცოდეს შესაბამისი ანალიტიკური მექანიზმები ობლიგაციებში ინვესტირების და საერთო საინვესტიციო პორტფელზე ასეთი ინვესტირების ზეგავლენის შესაფასებლად, მისი კონკრეტული ფინანსური სიტუაციიდან გამომდინარე;
- (iii) ჰქონდეს საკმარისი ფინანსური რესურსი და ლიკვიდურობა ობლიგაციებში ინვესტირების რისკების ასაღებად, მათ შორის როდესაც ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის ვალუტა განსხვავდება პოტენციური ინვესტორის ვალუტისაგან;
- (iv) კარგად აცნობიერებდეს ობლიგაციების პირობებს და იცნობდეს იმ ფინანსური ბაზრების ქცევას, რომელშიც ისინი მონაწილეობენ; და
- (v) შეეძლოს (დამოუკიდებლად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) შესაძლო სცენარების შეფასება ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფაქტორების თაობაზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მის ინვესტიციაზე და მის მიერ შესაბამისი რისკების აღების შესაძლებლობაზე.

შინაარსი

სამომავლო განცხადებები	10
ფინანსური და გარკვეული სხვა ინფორმაციის წარმოდგენა	11
შეთავაზების ძირითადი პირობები.....	14
რისკ-ფაქტორები	22
ობლიგაციის გამოშვებიდან მიღებული შემოსავლის გამოყენება.....	50
კაპიტალიზაცია და დავალიანება	63
შერჩეული კონსოლიდირებული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია	65
ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.....	73
სამართლებრივი ჩარჩო.....	95
პოლიტიკა და პროცედურები.....	97
რისკების მართვა	99
ხელმძღვანელობა და თანამშრომლები.....	102
გარიგებები პარტნიორების და დაკავშირებული მხარეების მონაწილეობით.....	107
ობლიგაციების გამოშვების პირობები.....	110
ობლიგაციების დაბეგვრა საქართველოში.....	135
ზოგადი ინფორმაცია.....	138
ინფორმაცია ემინენტის, განთავსების აგენტების, რეგისტრატორისა და სხვა მხარეების შესახებ	140

სამომავლო განცხადებები

გარვეული განცხადებები ამ „პროსპექტში“ შესაძლოა ჩაითვალოს სამომავლო განცხადებებად. სამომავლო განცხადებები მოიცავს განცხადებებს „კომპანიის“ გეგმებთან, მოლოდინთან, პროგნოზებთან, მიზნებთან, ამოცანებთან, სტრატეგიებთან, სამომავლო ღონისძიებებთან, სამომავლო შემოსავლებთან, კაპიტალურ დანახარჯებთან, ფინანსურ საჭიროებებთან, გეგმებთან ან შექმნის განზრახვებთან, კონკურენტულ ძლიერ და სუსტ მხარეებთან, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ გეგმებთან და მიზნებთან, სამომავლო ოპერაციებთან, განვითარებასთან და ბიზნეს სტრატეგიასთან და იმ ტენდენციებთან დაკავშირებით, რომლებსაც კომპანია ელის საქართველოს ეკონომიკასა და მრეწველობაში, და პოლიტიკურ და სამართლებრივ გარემოში, სადაც ის ოპერირებს და სხვა ინფორმაციას, გარდა ისტორიული ინფორმაციისა. სამომავლო განცხადებები მოცემულია ამ პროსპექტის სხვადასხვა ნაწილებში, მათ შორის არის ინფორმაცია მოცემული შემდეგ თავებში: „რისკ-ფაქტორები“, „ობლიგაციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოყენება“, „ბიზნესის აღწერა“, „ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების განხილვა და ანალიზი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ“ და „რისკების მართვა“.

სიტყვები, როგორცაა: მიგვაჩნია, მოველით, ვვარაუდობთ, მიზნად ვისახავთ, პოტენციური, განზრახული, სავარაუდო, პროგნოზირებული, შესაძლებელი, ვგეგმავთ, ვაპირებთ, ვცდილობთ და მსგავსი გამოთქმები განკუთვნილია სამომავლო განცხადებების იდენტიფიცირებისთვის, თუმცა, ეს ფრაზები არ არის ამომწურავი.

თავიანთი ხასიათით, სამომავლო განცხადებები გულისხმობს მათთვის დამახასიათებელ რისკებს და გაურკვეველობებს, როგორც ზოგადად ასევე კონკრეტულს, და არსებობს იმის რისკიც, რომ ვერ მიიღწევა წინასწარი ვარაუდები, პროგნოზები და სხვა სამომავლო განცხადებები. ეს რისკები, გაურკვეველობები და სხვა ფაქტორები, მათ შორის, გათვალისწინებულია „რისკ-ფაქტორების“ პუნქტით და წინამდებარე პროსპექტის სხვა პუნქტებით. ინვესტორებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა სამომავლო განცხადებებით გათვალისწინებული გეგმებისგან, მიზნებისგან, მოლოდინისგან, ვარაუდებისა და განზრახვებისგან არსებითად განსხვავებული რეალური შედეგები შეიძლება გამოიწვიოს.

შესაბამისად, ინვესტორები არასათანადოდ არ უნდა დაეყრდნონ სამომავლო განცხადებებს და, სამომავლო განცხადებების მიმოხილვისას, ყურადღებით უნდა განიხილონ ზემოაღნიშნული ფაქტორები და სხვა გაურკვეველობები და ღონისძიებები, განსაკუთრებით იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი გარემოს ფარგლებში, სადაც კომპანია საქმიანობს. წინამდებარე პროსპექტში მოცემული სამომავლო განცხადებები ასახავს მხოლოდ წინამდებარე პროსპექტის თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. „კომპანია“ არ იღებს მათი გადახედვის ან განახლების (ახალი ინფორმაციის, მომავალი მოვლენების შედეგად ან სხვა შემთხვევაში) ვალდებულებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას ითხოვს მოქმედი კანონმდებლობა. „კომპანია“ არ წარმოადგენს რაიმე განცხადებას, გარანტიას ან პროგნოზს

იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი სამომავლო განცხადებებით გათვალისწინებული შედეგები მიიღწევა და თითოეულ შემთხვევაში ასეთი სამომავლო განცხადებები წარმოადგენს მრავალი შესაძლო სცენარიდან მხოლოდ ერთ-ერთს და არ უნდა იქნას მიჩნეული ყველაზე შესაძლო ან სტანდარტულ სცენარად. წინამდებარე გამაფრთხილებელი განცხადებები ვრცელდება ყველა სამომავლო განცხადებაზე, რომელიც კეთდება „კომპანიის“ ან „კომპანიის“ სახელით მოქმედი პირების, და ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული მესამე მხარის მიერ კეთდება პროგნოზის სახით.

ფინანსური და გარკვეული სხვა ინფორმაციის წარმოდგენა

ფინანსური ინფორმაცია

ამ „პროსპექტში“ წარმოდგენილი 2016 წლის „კომპანიის“ აუდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) შესაბამისად, მათ შორის ყველა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის“ (ბასს) და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა“ და მისი „ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის“ მიერ, და რომლებიც შეესაბამება „კომპანიის“ საქმიანობას. 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარდა კომპანიის დამოუკიდებელი აუდიტორების, შპს „Deloitte & Touche“-ის მიერ (შემდგომში მოხსენებული როგორც „აუდიტორი“) „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, აქ მოცემული ფინანსური ინფორმაცია გამომდინარეობს ყოველწლიური ფინანსური ანგარიშებიდან.

წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული გარკვეული თანხები დაკორექტირდა დამრგვალებით.

საბაზრო სექტორის და ეკონომიკური ინფორმაცია

კომპანიამ მოიპოვა წინამდებარე პროსპექტში გამოყენებული საბაზრო მონაცემები შიდა კვლევების, სექტორული წყაროებისა და ამჟამად ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციიდან.

ამ პროსპექტში გამოყენებული საბაზრო ინფორმაციისა და ვალუტის გაცვლის მონაცემების ძირითადი წყაროებია „საქართველოს ეროვნული ბანკი“, „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“, „მსოფლიო ბანკი“, „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“, კერძო საინვესტიციო კვლევითი კომპანიები. „კომპანიამ“ მოიპოვა საქართველოს მაკროეკონომიკური მონაცემები ძირითადად საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა“ (შემდგომში მოხსენებული როგორც „საქსტატი“) და საქართველოს მთავრობისგან (შემდგომში მოხსენებული როგორც „მთავრობა“). „კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას მესამე მხარისგან მიღებული ინფორმაციის გადმოცემაზე და, იმდენად რამდენადაც „კომპანიისთვის“ ცნობილია და შეძლო დადგენა მესამე მხარეების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, არ მომხდარა რაიმე ფაქტის გამოტოვება რის გამოც გადმოცემული ინფორმაცია ჩაითვლებოდა არაზუსტად ან მცდარად. „კომპანიას“ არ ჩაუტარებია „საქსტატისგან“ და „მთავრობისგან“ მიღებული მონაცემების დამოუკიდებელი შემოწმება და მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ზემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან მიღებული ნებისმიერი მონაცემის სიზუსტეზე.

ზოგადი ინფორმაცია

თუ სხვაგვარად არ განისაზღვრა, ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული ყოველგვარი ინფორმაცია, მათ შორის ყველა ისტორიული ფინანსური ინფორმაცია, არის ინფორმაცია კომპანიის შესახებ.

განმარტებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც წინამდებარე პროსპექტის „ტერმინთა განმარტების“ თავშია მოცემული.

ვალუტა და გაცვლითი კურსი

ამ პროსპექტში ყველა მითითება „ლარზე“ და „GEL“ ნიშნავს საქართველოს ოფიციალურ ვალუტას; ყველა მითითება „დოლარზე“ ან „აშშ დოლარი“ ან „US\$“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ ვალუტას; ყველა მითითება „ევროზე“, „€“ და „EUR“ ნიშნავს ვალუტას, რომელიც შემოღებული იქნა „ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის“ მესამე ეტაპის დასაწყისისთვის „ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების“ თანახმად; მითითება „მილიარდებზე“ ნიშნავს ათასობით მილიონს.

მხოლოდ მკითხველის მოხერხებულობისთვის, წინამდებარე „პროსპექტში“ ლარში ნომინირებული თანხების ექვივალენტური ოდენობები კონვერტირებულია აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც მოქმედი იყო აქ მითითებული თარიღებისთვის და პერიოდებისთვის. ეს გაცვლითი კურსები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური კურსისგან, რომლის გამოყენებაც მოხდა ფინანსური ანგარიშგებისა და წინამდებარე „პროსპექტში“ მოცემული სხვა ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას. ეს გაცვლითი კურსები არ ნიშნავს, რომ ლარში ნომინირებული თანხები ფაქტობრივად იგივე ოდენობისაა დოლარში, ან რომ ამ თანხების კონვერტირება მოხდა ზოგადად ან კონკრეტული კურსით.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მითითებული წლებისთვის მაღალი, დაბალი, საშუალო და ასევე პერიოდის დასასრულისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომლებიც

წარმოდგენილია „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ, თითოეულ შემთხვევაში ლარის შექმნისთვის აშშ დოლარით.

	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის დასასრულს
	(ლარი აშშ დოლარზე)			
2016	2.7846	2.1272	2.3667	2.6468
2015	2.4499	1.8780	2.2702	2.3949
2014	1.9527	1.7241	1.7659	1.8636
2013	1.7376	1.6348	1.6634	1.7363
2012	1.6751	1.6193	1.6513	1.6567
2011	1.8111	1.6388	1.6860	1.6703
2010	1.8875	1.6929	1.7826	1.7728

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მითითებული თვეებისთვის მაღალი, დაბალი, საშუალო და ასევე პერიოდის დასასრულისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომლებიც წარმოდგენილია „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ, თითოეულ შემთხვევაში ლარის შექმნისთვის აშშ დოლარით.

	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის დასასრულს
	(ლარი აშშ დოლარზე)			
ივლისი 2017	2.3941	2.4047	2.3995	2.4009
ივნისი 2017.....	2.4062	2.4253	2.4116	2.4072
მაისი 2017.....	2.4076	2.4416	2.4280	2.4274
აპრილი 2017.....	2.3824	2.4773	2.4164	2.4416
მარტი 2017.....	2.4289	2.5494	2.4689	2.4452
თებერვალი 2017.....	2.7090	2.5837	2.6429	2.5837
იანვარი 2017	2.7674	2.6468	2.7007	2.7061

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შეთავაზების ძირითადი პირობები

ქვემოთ მოცემული მიმოხილვა აღწერს „ობლიგაციების“ გამოშვების ძირითად პირობებს. ძირითადი პირობები არ ასახავს „ობლიგაციების“ გამოშვების პირობებს სრულად და ობლიგაციების პირობები უფრო დაწვრილებითა არის აღწერილი ამ „პროსპექტის“ სხვა პუნქტებში, მათ შორის პუნქტში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

შეთავაზება	1,265,000 (ერთი მილიონ ორასსამოცდახუთი ათასი)-მდე აშშ დოლარის სასესხო ფასიანი ქაღალდის (ობლიგაციის) შეთავაზება, დაფარვის ვადით 10 წელიწადში ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან, რაც არის 2027 წლის 3 ნოემბერი.
ემიწენტი	შპს. „ბაზვი ჰაიდრო პაუერ“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205270810; რეგისტრირებულია 2009 წლის 15 იანვარს).
ფასიანი ქაღალდი	კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი)
ნომინალური ღირებულება	US\$ 1,000 (ერთი ათასი აშშ დოლარი)
ობლიგაციების რაოდენობა	1,265-მდე (ერთი ათას ორასსამოცდახუთი)-მდე.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	US\$ 1,265,000-მდე (ერთი მილიონ ორასსამოცდახუთი ათასი აშშ დოლარი)-მდე
საპროცენტო სარგებელი (კუპონი)	წლიური 9.4% საპროცენტო განაკვეთი წელიწადში, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.
გამოშვების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%.
შეთავაზების მინიმალური ოდენობა	1 ობლიგაცია (1,000 აშშ დოლარი)

შეთავაზების დასრულების თარიღი	ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ერთი თვე, რაც არის 2017 წლის 3 დეკემბერი.
ობლიგაციების გამოშვების თარიღი	ობლიგაციების გამოშვება მოხდება 2017 წლის 3 ნოემბერს.
ობლიგაციების განაღდება (დაფარვის) თარიღი	ობლიგაციების განაღდება მოხდება 10 წელიწადში ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან, რაც არის 2027 წლის 3 ნოემბერი ძირი/ნომინალურ ღირებულებით დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტები/უფროსი მენეჯერი	„სილქ როუდ ბანკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 201955027)
book-runner / თანა-მენეჯერი	„ეს პი ედვაიზორს“ მდებარე მისამართზე „- Craigmuir Chambers PO Box 71 Road Town, Tortola, BVI)
ანგარიშსწორების და გადამხდელი აგენტი	„სილქ როუდ ბანკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 201955027)
რეგისტრატორი.	სს „კავკასრეესტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211369115)

<p>სარგებლის დარიცხვა და გადახდა</p>	<p>სარგებელი დაერიცხება ობლიგაციებს ზემოთ ხსენებული განაკვეთით ობლიგაციების განთავსების თარიღიდან მათი ვადის ამოწურვის დღემდე. სარგებლის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ნახევარ წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის 3 მაისს და 3 ნოემბერს. დარიცხული სარგებლის პირველი გადახდა უნდა განხორციელდეს 2018 წლის 3 მაისს.</p>
<p>ობლიგაციების კლასი და სტატუსი</p>	<p>ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას და ყოველთვის უნდა იყოს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსის მქონე (<i>pari passu</i>) და არ ენიჭებოდეს რაიმე უპირატესობა ერთმანეთის მიმართ. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, ობლიგაციებს ექნებათ კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული კრედიტორის მოთხოვნის თანაბარი სტატუსი გადახდის უფლებასთან მიმართებაში.</p>

<p>ობლიგაციების ფორმა</p>	<p>ობლიგაციების გამოშვება მოხდება არამატერიალური რეგისტრირებული ფორმით. ობლიგაციების საკუთრების უფლება დადასტურდება რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების რეესტრში (როგორც ეს განმარტებულია ობლიგაციების გამოშვების პირობებში) და ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამის რეესტრში ცვლილებების შეტანის გზით.</p>
---------------------------	--

ვადამდე გამოსყიდვა

კომპანიამ შესაძლოა საკუთარი შეხედულებისამებრ გამოსყიდოს ობლიგაციები მთლიანად, მაგრამ არა ნაწილობრივ, ნებისმიერ დროს 30 დღით ადრე გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე, გამოსყიდვის თარიღისთვის (იხ. „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პირობა 6(ა) – „გამოსყიდვა“). გადაუხდელი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის გადახდით

კომპანიამ შეიძლება ასევე გამოსყიდოს ობლიგაციები მეორად ბაზარზე მათი განაღდების ვადის დადგომამდე, და ამგვარად ნაყიდი ობლიგაციების ფლობა ან ხელახალი გაყიდვა შესაძლებელი იქნება კომპანიის შეხედულებისამებრ.

ამასთან, საქართველოში დაბეგვრის რეჟიმის გარკვეული ცვლილების შემთხვევაში ობლიგაციების გამოსყიდვა შესაძლებელია კომპანიის სურვლის შესაბამისად მთლიანად, მაგრამ არა ნაწილობრივ, ნებისმიერ დროს, ობლიგაციონერებისთვის შეტყობინების საფუძველზე, გადასახდელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისთვის მასზე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის გადახდით (იხ. პუნქტი - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პირობა 6(ბ) – „გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით“).

<p>აქტივების გაყიდვაზე შეზღუდვა და დათქმები</p>	<p>ობლიგაციების პირობების შესაბამისად ემიტენტს დაწესებული აქვს შეზღუდვები აქტივების უზრუნველყოფით დატვირთვასთან ან სხვაგვარად განკარგვასთან დაკავშირებით, გარდა ნებადართული უზრუნველყოფის გარიგებებისა. ემიტენტი აგრეთვე ექვემდებარება სხვა შეზღუდვებს საქმიანობაზე, აქტივების გასხვისებასა და ფინანსებზე (იხ. „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პირობა 4 (ა))</p>
<p>დეფოლტი</p>	<p>თუ წარმოიქმნება „დეფოლტის შემთხვევა“ ობლიგაციონერებს და ნომინალურ მფლობელებს შეუძლიათ ემიტენტისათვის შეტყობინების გაგზავნით მოითხოვონ ობლიგაციების ძირითადი თანხის 100%-ისა და დარიცხული პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადახდა სრული ოდენობით (იხ. „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პირობა - 9, „დეფოლტის შემთხვევები“)</p>
<p>საშემოსავლო გადასახადის დაკავება წყაროსთან</p>	<p>კომპანიის მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და პროცენტის ყველა გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადახდის წყაროსთან გადასახადების დაკავებით</p>
<p>ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული თანხების გამოყენება</p>	<p>კომპანიის მიერ ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული წმინდა ამონაგების გამოყენება მოხდება ბანკის მიმართ არსებული საკრედიტო დავალიანების ნაწილობრივი ფინანსირებისთვის. იხ. პუნქტი „ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული თანხების გამოყენება“.</p>

სავაჭროდ დაშვება	ემინენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდეგ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ობლიგაციების განთავსებიდან სამი თვისა, მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განცხადებით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში არასალისტინგო ფასიან ქალაქებად დაშვების თაობაზე.
შეზღუდვები გაყიდვასთან დაკავშირებით	ობლიგაციების შეთავაზება უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის მოგვარება მოხდება საქართველოს სასამართლოებისთვის მიმართვით, ამ პროსპექტით დადგენილი წესების თანახმად.
რისკ-ფაქტორები.....	ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღებით უნდა გაითვალისწინონ ამ პროსპექტში მოცემული ყველა ინფორმაცია, კერძოდ კი პუნქტში - „რისკ-ფაქტორები“ მოცემული ინფორმაცია.
ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია	შპს. „ბახვი ჰაიდრო პაუერ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205270810), მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. N 49, 0162 თბილისი, საქართველო; ტელ: [595252530]; ე-ფოსტა: iva.lomadze@silkroad.ge
განთავსების აგენტის/წამყვანი მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია	სს. „სილქ როუდ ბანკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 201955027); მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ზაარბრიუკენის მოედანი, №2 ტელ: +995 2 242 242 -ფოსტა: broker@silkroadbank.ge

<p>რეგისტრატორის/თანაწამყვანიწამყვანი მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია</p>	<p>SP მრჩევლები; მისამართი: Craigmuir Chambers PO Box 71 Road Town, Tortola, BVI; ტელ: +380443001425; ე-ფოსტა: office@spadvisors.eu</p>
<p>რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია</p>	<p>სს „კავკასრეესტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211369115) მისამართი: ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186 ტელ: +995 32 2 500 211, ელ.ფოსტა: info@kavkasreestri.ge;</p>
<p>ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი (ISIN).....</p>	<p>ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო (ფქსნ) ნომრის მინიჭება ხდება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ საბოლოო პროსპექტის წარდგენის შემდეგ.</p>

რისკ-ფაქტორები

ინვესტიცია ობლიგაციებში მოიცავს გარკვეულ რისკებს. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე, ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ მთლიანად წინამდებარე პროსპექტი. წინამდებარე პროსპექტში მოცემული სხვა ინფორმაციის გარდა, ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებამდე, საკუთარი ფინანსური მდგომარეობის და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ქვემოთ აღწერილ რისკებზე. ქვემოთ აღწერილ რისკებს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. თუ რომელიმე რისკი რეალურად დადგება, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. ასევე, ქვემოთ აღწერილია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მიიჩნევს, რომ ქვემოთ მოყვანილი რისკ-ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტირებისთვის დამახასიათებელ ძირითად რისკებს, შეიძლება არსებობდეს დამატებითი რისკები და გაურკვეველობები, რომლებსაც კომპანია ამჟამად განიხილავს უმნიშვნელოდ ან რომელთა შესახებაც ჯერ კომპანიამ არ იცის, და ნებისმიერ ასეთ რისკს და გაურკვეველობას შეიძლება ჰქონდეს ქვემოთ მოცემულის მსგავსი ეფექტი. შესაბამისად, კომპანია არ ამტკიცებს, რომ ქვემოთ მოცემული განცხადებები ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, არის ამომწურავი.

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები

დამაბულობას რეგიონში შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი ზეგავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის საქმიანობაზე

საქართველოს ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, და მასზე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურმა არეულობამ როგორც მის საზღვრებს შიგნით ასევე მის მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, საქართველოს უთანხმოება აქვს რუსეთთან აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში, 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან. ამ უთანხმოებამ გამოიწვია სპორადული ძალადობა და სამშვიდობო ოპერაციების დარღვევა. 2008 წლის აგვისტოში მოხდა კონფლიქტის ესკალაცია ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონში, როდესაც საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩაერთვნენ საბრძოლო მოქმედებებში ადგილობრივ სამხედროებთან და რუსულ ჯარებთან, რომლებმაც გადმოკვეთეს საერთაშორისო საზღვარი, და საქართველომ გამოაცხადა საომარი მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ევროკავშირის შუამავლობით მომზადებულ ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მოუწოდებდა რუსეთს თვის ბოლომდე სამხედრო ძალების გაყვანისკენ, რუსეთმა აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა და დამაბულობა გაგრძელდა, რადგან რუსეთის შეიარაღებული ძალები განაგრძობდნენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას.

მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში, რუსმა მესაზღვრეებმა აღმართეს ლობები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის სადემარკაციო ხაზის მონაკვეთების გასწვრივ, რაც შემდგომ წლებშიც გაგრძელდა, რის შედეგადაც დე-ფაქტო საზღვარმა გადმოიწია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და მომავალში მსგავსმა ქმედებებმა შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს დამაბულობა. რუსეთი ასევე ეწინააღმდეგება ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებას, რომელიც პოტენციურად მოიცავს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, როგორცაა საქართველო. მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების კუთხით, მაგრამ ამ „პროსპექტის“ გამოცემის დღემდე ამას არ მოჰყოლია რაიმე ფორმალური ან სამართლებრივი ცვლილება ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებში.

უკრაინასა და რუსეთს შორის გეოპოლიტიკურმა დამაბულობამ შეიძლება ასევე უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინის კრიზისი დაიწყო 2013 წლის ბოლოს და კვლავ გრძელდება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუს და ყირიმელ თანამდებობის პირებს და რუსეთს, მათ შორის რამოდენიმე რუსულ ბანკსა და კომპანიას სავაჭრო სანქციები დაუწესეს. უკრაინაში არსებულ პოლიტიკურ არასტაბილურობას, სამოქალაქო არეულობასა და სამხედრო კონფლიქტებს, და რუსეთსა და უკრაინას შორის გეოპოლიტიკური კონფლიქტის შემდგომ გახანგრძლივებას ან ესკალაციას, და რუსეთის ეკონომიკის დაღმასვლას სავაჭრო სანქციების გავლენის, ნავთობის ფასების სტაგნაციის ან ვალუტის გაუფასურების გამო, გაურკვეველობის დონის მატებას, რეგიონალური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის დონის მატებას, მომავალში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესებას, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით, შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

გარდა ამისა, საქართველოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტაბილურობაზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს ქვემოთ ჩამოთვლილმა ნებისმიერმა ფაქტორმა:

- ცვლილებამ საქართველოს, როგორც ენერგო რესურსების სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობაში;
- ცვლილებამ საქართველოსთვის გაწეული დახმარების ან ქართველი მეწარმეების მიერ მსოფლიო საექსპორტო ბაზრებზე წვდომის კუთხით;
- პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და თურქეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ;
- აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაუარესებამ.

რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი რისკის მატერიალიზების შემთხვევაში ამან შესაძლოა იქონიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

კრიზისმა საქართველოს მეზობელ ბაზრებზე შესაძლოა იქონიოს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია რეგიონის სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე, როგორცაა აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და თურქეთი.

აზერბაიჯანი და სომხეთი იყო ორი უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი საქართველოსთვის, რომელზეც მოდიოდა ექსპორტის დაახლოებით 10.9% და 8.2% შესაბამისად 2015 წელს, თუმცა, მათი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში მნიშვნელოვნად შემცირდა 7.3%-მდე და 7.1%-მდე 2016 წელს „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით. 2015 წლის თებერვალში „აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკმა“ გააუფასურა მანათი 33.6%-ით დოლართან მიმართებაში და 33.8%-ით ევროსთან მიმართებაში. 2015 წლის დეკემბერში „აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი“ გადავიდა მანათის მართვად მოქნილ სავალუტო კურსზე, რამაც გამოიწვია 47.6%-ით გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში და 47.9%-ით - ევროსთან მიმართებაში. 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის თებერვლამდე, სომხური დრამი გაუფასურდა 16.9%-ით აშშ დოლართან მიმართებაში, და შედარებით სტაბილური პერიოდის შემდეგ „სომხეთის ცენტრალური ბანკი“ ჩაერთო უცხოური ვალუტის გაცვლით ინტერვენციებში სომხური დრამის მხარდასაჭერად, როდესაც დახარჯა მისი ეროვნული რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შემდგომ შეივსო სუვერენული ობლიგაციების გამოშვებით. 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სომხური დრამი გაუფასურდა 0.2%-ით აშშ დოლართან მიმართებაში.

საქსტატის მონაცემებით, რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ბაზარია, რომელიც შესაბამისად შეადგენდა საქართველოს მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 7.4%-ს და 9.8%-ს 2015 და 2016 წლებში. 2013 წლის გაზაფხულზე რუსეთმა გააუქმა თავისი სავაჭრო ემბარგო და რუსული ბაზარი ხელახლა გაიხსნა ქართველი მეწარმეებისთვის. რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტი 2013 წელს სამჯერ გაიზარდა. ბოლო პერიოდში რუსეთის ეკონომიკის ზრდა შემცირდა ნაწილობრივ გლობალური ნავთობის ფასების შემცირების გამო და აშშ-სა და ევროკავშირის მიერ სანქციების დაკისრების გამო რუსეთსა და დასავლურ ქვეყნებს შორის მიმდინარე პოლიტიკური დამაბულობის შედეგად, რაც გამომდინარეობდა უკრაინისა და სირიის კონფლიქტიდან. 2016 წლის 22 იანვარს რუსული რუბლი ყველაზე მეტად გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებაში, თუმცა ის კვლავ გაიზარდა 38%-ით 2016 წლის ბოლოსთვის.

საქსტატის მონაცემებით, თურქეთი საქართველოსთვის ყველაზე დიდი იმპორტიორია და 2016 წელს შეადგენდა საქართველოს მთლიანი იმპორტის 18.7%-ს. მიუხედავად იმისა, რომ პროგნოზების მიხედვით თურქეთის ეკონომიკა 2017 წელს 3.0%-ით გაიზრდება, „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ თანახმად 2016 წელს 3.3%-ით შემცირება, პოლიტიკური გაურკვევლობა, არასასურველი გეოპოლიტიკური მოვლენები, თურქული ლირის მკვეთრი შესუსტება და ინფლაციის ზრდა პოტენციური დაბრკოლებებია შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის და არ არსებობს იმის გარანტია, რომ ზრდის ტენდენცია გაგრძელდება.

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ზრდის შემცირებამ და ვალუტის გაუფასურებამ გამოიწვია საქართველოდან ექსპორტისა და საქართველოში ფულადი გზავნილების შემცირება ბოლო პერიოდებში. საქართველოს მეზობელ ბაზრებზე ნებისმიერ გრძელვადიან ან შემდგომ ეკონომიკურ რღვევას ან კრიზისს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე, რომელსაც თავის მხრივ შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

პოლიტიკურ და სამთავრობო არასტაბილურობას საქართველოში შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის საქმიანობაზე

1991 წელს სსრკ-სგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო განიცდიდა მიმდინარე და არსებით პოლიტიკურ ტრანსფორმაციას ფედერალურ სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენელი ქვეყნიდან დამოუკიდებელი სუვერენული დემოკრატიისკენ.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელების აუცილებლობა. თუმცა, ბიზნესისა და ინვესტორების ხელშემწყობი რეფორმები შესაძლოა გაგრძელდეს ან საწინააღმდეგოდ შეცვალოს ან ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შეიძლება შეფერხდეს ნებისმიერი ცვლილების შედეგად, რაც გავლენას ახდენს არსებული რეფორმის პოლიტიკის უწყვეტობაზე ან სტაბილურობაზე ან პრეზიდენტის, პარლამენტის ან სხვათა მიერ რეფორმის პოლიტიკის უარყოფის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა გარკვეული ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომელთა მიზანი იყო საქართველოს პარლამენტის ძირითადი მმართველობითი უფლებამოსილების გაძლიერება საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების გაზრდისა და საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციების ფარგლების შემცირების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა ერთხმად მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები 2013 წლის მარტში საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვასთან დაკავშირებით, საქართველოს საპარლამენტო, საპრეზიდენტო და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვაგვარად უარყოფითად იმოქმედოს პოლიტიკურ კლიმატზე საქართველოში.

რადგანაც კომპანია ოპერირებს მხოლოდ საქართველოში, მასზე ზეგავლენას მოახდენს ცვლილებები საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაში

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ საქართველოში და ის ძირითად შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროებიდან. კომპანიის საქმიანობის შედეგებზე

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და სავარაუდოდ მომავალშიც მოახდენს ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც ვითარდება საქართველოში ან რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოზე და, განსაკუთრებით, საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის დონეზე. ისეთი ფაქტორები, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსი, ასევე უმუშევრობა, კომპანიების პირადი შემოსავალი და ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ კომპანიის პროდუქტისთვის დროულად გადახდის შესაძლებლობაზე.

გლობალური და რეგიონალური ეკონომიკური პირობები კვლავ არასტაბილურია და სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური გაურკვეველობა. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში მშპ-ს რეალური ზრდა 2016 წლის 9 თვეში 2.3%-ით შემცირდა, 2015 წელს არსებული 2.9%-დან და 2014 წელს არსებული 4.6%-დან. ეს შემცირება გამოწვეული იყო სუსტი გარე ეკონომიკური გარემოთი, რაც აისახა უფრო სუსტი ფულადი გზავნილებით, შედარებით დაბალი წმინდა ექსპორტით საქართველოდან და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. 2017 წლის იანვარში გამოქვეყნებული „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ „მსოფლიო ეკონომიკური პროგნოზის“ თანახმად რეგიონში მშპ-ს ზრდა იყო უარყოფითი 0.1% 2016 წელს, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) უმეტეს ეკონომიკაში, ძირითადად რუსეთის ეკონომიკის გაუარესების გვერდითი ეფექტისა და ასევე ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების შედარებით დაბალი ნავთობის ფასების უარყოფითი გავლენის შედეგად. გაუმჯობესება 2017 და 2018 წლებში გაძლიერდება, როდესაც დაიწყება სტრესული ეკონომიკის პირობების ეტაპობრივად ნორმალიზება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით 2017 წელს მოსალოდნელია დსთ-ს ეკონომიკის 1.5%-იანი ზრდა, ხოლო 2018 წელს მოსალოდნელია საშუალოდ 1.8%-იანი ზრდა. დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკის ზრდის რეგიონალური გაუარესების მიუხედავად, „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ მოელის 33.5%-იან ზრდას საქართველოში 2017 წელს. საქართველო დგას ზრდის პერსპექტივის მნიშვნელოვანი რისკების წინაშე, მათ შორის გაცვლით კურსთან, ფინანსურ სტაბილურობასთან, ინფლაციასთან, ბიუჯეტის და კაპიტალის გადინებასთან დაკავშირებული რისკების წინაშე. საქართველოში ბაზრის არეულობამ და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომხმარებლო ხარჯების შემცირება და შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა საქართველოში მისი მომხმარებლების ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. გაურკვეველ და არასტაბილურ გლობალურ ეკონომიკურ პირობებს, როგორცაა ევროპაში მომატებული პოლიტიკური დამაბულობა, საპრეზიდენტო არჩევნების მოულოდნელი შედეგები და აშშ-ს ახალი პრეზიდენტის არაპროგნოზირებადი და უპრეცედენტო საერთაშორისო პოლიტიკა, და ასევე დიდი ბრიტანეთის მოსალოდნელ გასვლას ევროკავშირიდან 2017 წლის შუა პერიოდში, შესაძლოა ჰქონდეს საერთაშორისო მასშტაბით არსებითი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური შედეგები, რომლებმაც თავის მხრივ, შესაძლოა იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ნებისმიერი ჩამოთვლილი რისკის მატერიალიზების შემთხვევაში, ამან შესაძლოა იქონიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

საქართველოში სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობებმა შესაძლოა იქონიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე, რომლებმაც თავის მხრივ შესაძლოა იქონიოს უარყოფითი გავლენა ბიზნესზე

საქართველო კვლავ შეიმუშავებს საკანონმდებლო ბაზას, რომლის მიზანია მისი ჰარმონიზება ევროკავშირის სამართლებრივ სტრუქტურასთან. სათანადო და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არარსებობამ გამოიწვია გაურკვევლობები და შეუსაბამობები ახალი კანონმდებლობის გამოყენების და აღსრულების კუთხით. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლოებს არ ჰყავთ საკმარისი პერსონალი, რაც იწვევს სასამართლო საქმისწარმოების დაყოვნებას და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ხშირად გამოიცემა სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცედურების მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაგვიანებით. სასამართლო სისტემაში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი რეფორმა. დაგეგმილია მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა და სპეციალიზირებული კომერციული და საგადასახადო პალატის შექმნა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფარგლებში. სასამართლოების გადატვირთულობამ, რესურსების სიმცირემ და რეფორმების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ქართული სასამართლო სისტემის არაეფექტურობა და არათანმიმდევრულობა, რასაც შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა კომპანიის მიერ კომერციული და საგადასახადო რისკების შეფასებაზე და მისი მოთხოვნების განხორციელებაზე.

არბიტრაჟის შესახებ კანონმდებლობის 2015 წელს მიღებული შესწორებებით, რომლებმაც ის შესაბამისობაში მოიყვანა UNCITRAL მოდელურ კანონთან და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით გახადა შესაძლებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, შეიქმნა სასამართლოების მიერ დავის გადაწყვეტის კარგი ალტერნატივა. არსებობს ტენდენცია, რომლის თანახმადაც სასამართლო იღებს უფრო მეტად არბიტრაჟის მიმართ მეგობრულ გადაწყვეტილებებს და ცნობს და აღსრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და, აქედან გამომდინარე, კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს არბიტრაჟი დავის ეფექტური გადაწყვეტის მექანიზმის სახით კომერციული დავებისთვის, რომლითაც შემცირდება ქართული სასამართლო სისტემის არაეფექტურობასა და გაურკვევლობასთან დაკავშირებული რისკები.

შესაძლოა არსებობდეს გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს მარეგულირებელი გარემოს ევროკავშირთან ჰარმონიზების „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის“ (DCFTA) საშუალებით

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და დააფუძნა ევროკავშირთან “ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე”, რაც ითვალისწინებს ორმხრივ სავაჭრო ლიბერალიზაციას ევროკავშირთან. ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს, თუმცა ამან შეიძლება გამოიწვიოს წინაშე დააყენოს ბიზნესი, საშინაო მეურნეობები და

სახელმწიფო. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და “ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის” იმპლემენტაციამ შესაძლოა საჭირო გახადოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის ვაჭრობასთან დაკავშირებულ და სექტორისთვის სპეციფიკურ კანონმდებლობასთან, რომელიც სავარაუდოდ იქნება გამოწვევებით სავსე, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა უსაფრთხოების სფეროებში, მათ შორის პროდუქციისა და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის კუთხით.

საქართველოს სავაჭრო კანონმდებლობა თანდათანობით შესაბამისობაში მოდის ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან, მას შემდეგ რაც ის გახდა „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ წევრი 2000 წელს. 2013 წელს შრომის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, იმისთვის, რომ შრომითი კანონმდებლობა უფრო დაახლოებულიყო ევროკავშირის რეგულაციებთან ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და “ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის” ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად. ეს ცვლილებები მოითხოვდა დამსაქმებლების მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას (ერთიდან ორ თვემდე ხელფასის ოდენობით) კომპენსაციის გადახდას, დასაქმებულთა უფლებების გაძლიერებას რათა გაესაჩივრებინათ დამსაქმებელთა გადაწყვეტილებები სასამართლოში, აშკარა მიზეზების გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას და გარანტირებულ ძირითად სამუშაო პირობებს.

ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, დაუახლოვოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის რეგულაციებს ენერგეტიკის სფეროში, მათ შორის, შეუერთდეს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას.

2017 წლის 21 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო N716-III დადგენილება, რომლის თანახმად, საქართველო შეუერთდა სარაევოს 2016 წლის 14 ოქტომბრის ოქმს „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“. ოქმით განისაზღვრა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით, საქართველოს მიერ „ენერგეტიკული გაერთიანების“ კანონმდებლობის იმპლემენტაციის მიახლოებითი ვადები.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად მოსალოდნელი მარეგულირებელი ცვლილებების შედეგად, შეიძლება საჭირო გახდეს კომპანიის მიერ თავისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა, კანონებსა და რეგულაციებში არსებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

შესაბამისობის მიღწევა ნებისმიერ ახალ მარეგულირებელ ცვლილებასთან და ამ შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლოა დაკავშირებული იყოს დამატებით ხარჯებთან. ასეთი დანახარჯები შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის მომგებიანობაზე. თუმცა კომპანიამ თავდაპირველად თავისი საქმიანობა დაიწყო KFW-ის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვით. აქედან გამომდინარე, ახალი რეგულაციების შემოღებას არ უნდა ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

გაურკვევლობებმა საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო ცვლილებები ან ჯარიმების დაკისრება კომპანიაზე და შესაძლოა შევიდეს ცვლილებები ახლანდელ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში

საგადასახადო კანონმდებლობა უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებთან შედარებით საქართველოში არ მოქმედებს დიდი პერიოდის განმავლობაში. ეს ქმნის გამოწვევებს საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით იმდენად, რამდენადაც ეს საგადასახადო კანონები გაურკვეველია ან ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ამის გამო კომპანიები არიან რისკის ქვეშ, რომ მათ მიერ შესაბამისობის მცდელობა შესაძლოა სადავოდ იქნეს მიჩნეული სახელმწიფო ორგანოების მიერ. გარდა ამისა, ასეთი საგადასახადო კანონები ექვემდებარება ცვლილებებს და შესწორებებს, რამაც შესაძლოა შექმნას უჩვეულო სირთულეები ბიზნესში. ახალი საგადასახადო კოდექსი (შემდგომში "საგადასახადო კოდექსი") ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან. 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელიც კრძალავს ახალი სახელმწიფო მასშტაბით მოქმედი გადასახადების შემოღებას ან არსებული საგადასახადო ტარიფების (აქციზის გარდა) ზრდას მთავრობის მიერ ინიცირებული საჯარო რეფერენდუმის გარეშე (გარდა გარკვეული გამონაკლისი შემთხვევებისა). მსგავს პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლიც.

"ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" კანონით დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვარი:

- კონსოლიდირებული საბიუჯეტო ხარჯების მთლიანი მოცულობისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მშპ-თან შეფარდების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს;
- კონსოლიდირებული საბიუჯეტო დეფიციტის მშპ-თან შეფარდების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს;
- სახელმწიფო ვალის მშპ-თან შეფარდების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს კაპიტალის მოძრაობას და ვალუტის თავისუფალ გადაცვლას. ეს კანონი ამოქმედდა 2013 წლის 31 დეკემბრიდან. სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის საგადასახადო ორგანოებს შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობებს, შეუსაბამობებსა და კონფლიქტურ სფეროებს. თუმცა საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების გაცემას გადასახადის გადამხდელთა მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი კომპანია და კომპანიის წევრები ამჟამად აკმაყოფილებენ საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ შესაბამის ორგანოებს ჰქონდეთ განსხვავებული პოზიციები მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო ცვლილებები ან ჯარიმები. ასევე არსებობს რისკი, რომ კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმები ან სანქციები მიმდინარე საგადასახადო აუდიტის შედეგად.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონები და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის შეცვლის შედეგად.. იხილეთ "საქართველოში პოლიტიკურ და სახელმწიფო არასტაბილურობას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის საქმიანობაზე". ასეთი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას, ან კომპანიაზე ან მის მომხმარებლებზე მოქმედი საგადასახადო ტარიფების ზრდას რასაც, თავის მხრივ, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საწარმო არ იქნება ვალდებული გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ საწარმო არ გაუნაწილებს მოგებას პარტნიორებს, ან არ გაიღებს ხარჯებს ან განახორციელებს მიწოდებას ან გადახდებს, რომლებიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. მოსალოდნელია, რომ ეს ცვლილება გაააქტიურებს ეკონომიკურ საქმიანობას და გაზრდის კერძო სექტორის კაპიტალიზაციას. საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების უმრავლესობა ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ეს ცვლილებები გამოიღებს სასურველ შედეგს.

არასტაბილურობას ან ეროვნულ სავალუტო ბაზარზე არასაკმარის ზრდას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე და, შესაბამისად, უარყოფითი ზეგავლენა კომპანიაზე

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, ლარის გადასაცვლელად საქართველოს გარეთ ბაზარი ზოგადად არ არსებობს. საქართველოში არსებობს ლარის სხვა ვალუტებში გადაცვლის ბაზარი, თუმცა ის შეზღუდულია მოცულობაში. „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მონაცემებით, 2016 წელს, ლარი-აშშ დოლარის და ლარი-ევროს სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ ბაზრებზე (მათ შორის მთლიანად გაყიდვები და შესყიდვები, „ეროვნული ბანკის“ საქმიანობის გარდა) შეადგინა \$28.2 მილიარდი აშშ დოლარი და €10.8 მილიარდი ევრო, შესაბამისად, და იმავე წყაროს თანახმად, 2017 წლის 31 იანვარს დასრულებული პირველი თვის განმავლობაში, ლარი-აშშ დოლარის და ლარი-ევროს სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ ბაზრებზე („ეროვნული ბანკის“ საქმიანობის გარდა) შეადგინა \$2.5 მილიარდი აშშ დოლარი და €0.8 მილიარდი ევრო შესაბამისად. „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მონაცემებით, „ეროვნულ ბანკს“ ჰქონდა მთლიანად \$2.8 მილიარდი აშშ დოლარი ოფიციალურ რეზერვებში 2017 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ განაცხადა, რომ ეს რეზერვები საკმარისი იქნება შიდა სავალუტო ბაზრის შესანარჩუნებლად მოკლე ვადებში, ამ სავალუტო ბაზრის არასაკმარისმა ზრდამ შესაძლოა შეაფერხოს საქართველოს ეკონომიკის განვითარება, რასაც შეიძლება ჰქონდეს სერიოზული უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

გარდა ამისა, სავალუტო ბაზარზე არასაკმარისმა სტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. 1998 წლის აგვისტოში რუსეთში ფინანსური კრიზისის,

2008 წლის რუსეთთან კონფლიქტის და 2015 წელს ნავთობის ფასების შემცირების გამო რეგიონში ეკონომიკური ზრდის შეფერხების შემდეგ დაფიქსირდა ლარი-აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ანგარიშგასაწევი არასტაბილურობა. 2015 წელს „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ დაუშვა ლარის გაუფასურება 22%-ით იმ მექანიზმის საშუალებით, რომლის მიზანიც იყო მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შეფერხების საქართველოზე უარყოფითი გავლენის შემსუბუქება. ლარი დამატებით 10%-ით გაუფასურდა აშშ დოლართან და სხვა მსხვილ საერთაშორისო ვალუტებთან მიმართებაში 2016 წელს, ძირითადად საქართველოდან შედარებით ნაკლები წმინდა ექსპორტისა და საქართველოში უფრო ნაკლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამო. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარი-აშშ დოლარის გაცვლითი კურსი იყო 2.3949, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი - 2.6468, მაგრამ შემცირდა 2.5837-მდე 2016 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით. შემდგომში მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ ლარის არასტაბილურობის შეზღუდვის შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის „საქართველოს ეროვნული ბანკისა“ და მთავრობის მიერ ინფლაციის კონტროლის შესაძლებლობაზე, უცხოური ვალუტის რეზერვებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელმისაწვდომობაზე და სხვა ვალუტის შემოდინებაზე. ამის შეუსრულებლობამ ან ლარის მნიშვნელოვანი ან შემდგომში გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში წლიური ინფლაცია, რომელიც გაიზომა სამომხმარებლო ფასების ინდექსით პერიოდის ბოლოს, 2015 წელს შეადგენდა - 4.9%-ს, ხოლო 2016 წელს - 1.8%. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციური ზეწოლა შენარჩუნდა 2016 წლისთვის მსოფლიოში საწვავისა და სურსათის დაბალი ფასების გამო, საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 2017 წლისთვის მოიმატა და შეადგინა 5.5% 2017 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით და არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ქართული ეკონომიკა კიდევ არ დაზარალდება სურსათისა და ნავთობის ფასების შიდა ან გლობალური ზრდით. დეფლაციამ, მიუხედავად იმისა რომ ზრდის ლარის მსყიდველობით უნარს, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს უცხოურ ინვესტიციებზე. მეორე მხრივ, მაღალმა და სტაბილურმა ინფლაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებლის მსყიდველობითი უნარის შემცირება და მომხმარებლის ნდობის დაკარგვა. ნებისმიერმა ზემოთ ჩამოთვლილთაგან შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის გაუარესება და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის მომხმარებლებზე, რამაც თავის მხრივ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე.

არსებობს დამატებითი რისკები ისეთ ახალ ბაზრებზე ინვესტირებასთან დაკავშირებით, როგორცაა საქართველოს ბაზარი

განვითარებადი ბაზრები შეიძლება ხასიათდებოდეს უფრო მაღალი ცვალებადობით, უფრო შეზღუდული ლიკვიდურობით და უფრო ვიწრო საექსპორტო ბაზით ვიდრე უფრო ძველი ბაზრები, და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში. ისინი ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს და განსაკუთრებით დაუცველია მსოფლიო საბაზო პირობების და ეკონომიკური ვარდნის მიმართ.

ამასთანავე, საერთაშორისო ინვესტორებმა შეიძლება რეაგირება მოახდინონ მოვლენებზე, აითვალწუნონ მთლიანი რეგიონი ან საინვესტიციო კლასი, ფენომენი რომელიც ცნობილია როგორც „გადამდები ეფექტი“. ასეთი ეფექტის არსებობის შემთხვევაში საქართველოზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებადი ბაზრების ქვეყნებში არსებულმა უარყოფითმა ეკონომიკურმა თუ ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინა გადამდებმა ეფექტმა წარსულში, მათ შორის 1998 წლის რუსეთის ფინანსური კრიზისის, 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისისა და ბოლო პერიოდის რეგიონალური ტურბულენტობის შემდეგ შედარებით დაბალი ნავთობის ფასების გამო, და მასზე შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ მსგავსმა მოვლენებმა მომავალში.

მზარდმა არასტაბილურობამ გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე და შემცირებულმა კაპიტალის დინებამ განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გლობალური ვაჭრობის სისუსტემ, გაზრდილმა გეოპოლიტიკურმა რისკებმა, სასაქონლო ფასების მეტად არასტაბილურობა და ფართო და განგრძობითმა კლებამ, რუსეთის რეცესიის ფართომასშტაბიანმა გვერდითმა ეფექტებმა და ჩინეთის ეკონომიკის დაღმასვლამ და ხელახალმა დაბალანსებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე. განვითარებად ბაზრებზე ფინანსურ ან პოლიტიკურ არასტაბილურობას ასევე შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კაპიტალის ბაზრებზე და ფართო ეკონომიკაზე, რადგან ინვესტორებს, ზოგადად, ფული გადააქვთ უფრო მეტად განვითარებულ ბაზრებზე, რომლებსაც ისინი უფრო სტაბილურად მიიჩნევენ. ეს რისკები შეიძლება გაერთიანდეს არასრულ, არასანდო, არახელმისაწვდომ ან არადროულ ეკონომიკურ და სტატისტიკურ მონაცემებთან საქართველოში, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ამ დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

კლიმატურმა პირობებმა, წყლის ხელმისაწვდომობამ და ბუნებრივმა კატაკლიზმებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მიერ მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის გამომუშავებისა და მიწოდების შესაძლებლობაზე, ასევე, გამოიწვიოს კომპანიის კუთვნილი ჰიდროელექტროსადგურის აგრეგატების მწყობრიდან გამოსვლა

მხედველობაშია მისაღები ჰიდროლოგიური რისკები, რადგან ელექტროენერჯის გამომუშავების პოტენციული მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მდინარეში წყლის მოდინებაზე, რისი პროგნოზიც რთულია, ისევე როგორც გარემოს მდგომარეობისა და ნალექების რაოდენობის. ჰიდროლოგიური რისკები უნდა შეფასდეს ისტორიული მონაცემების და ჰესის ზომიდან გამომდინარე. ბახვი 3 ჰესის წყალგამტარობის მოცულობა და სხვა მახასიათებლები ფასდება ჰიდროლოგიური ანალიზის, ტოპოგრაფიული მონაცემების და ჰესის სხვადასხვა მოწყობილობების ეფექტურობის მხედველობაში მიღებით, რაც ელექტროენერჯის პოტენციური გამომუშავების მონაცემებს იძლევა.


საბაზისო ჰიდროლოგიური მონაცემები:

წყალშემკვრები აუზი:

- მდ. ბახვისწყალი სათავეს იღებს აჭარა-იმერეთის (მესხეთის) ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 2600 მ ნიშნულზე და მარცხენა მხრიდან ერთვის მდ. სუფსას სოფ. ძიმითთან, ზღვის დონიდან 42 მ ნიშნულზე. მდინარის სიგრძე 42 კმ-ია, საერთო ვარდნა 2558 მ, საშუალო ქანობა $\alpha=0,061$, ხოლო მაქსიმალური $\alpha=0,097$. წყალშემკვრები აუზის ფართობია 156 კმ², ხოლო საშუალო სიმაღლეა - 1380 მ. მდინარეს ერთვის დიდი რაოდენობით მცირე შენაკადები, რომელთაგან შედარებით გრძელი შენაკადებია უსახელო მდინარე, ბაისუბნის ღელე, ოჩხამურა და კურეპა.
- მდინარის წყალშემკვრების აუზი განთავსებულია მცირე კავკასიონის აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე, მდინარეების - ნატანების (სამხრეთ-დასავლეთით) და გუბაზეულის (ჩრდილო-აღმოსავლეთით) წყალშემკვრებ აუზებს შორის.

კლიმატური პირობები:

- კლიმატური აღწერილობა და მახასიათებლები მდ. ბახვისწყლის და ჰესის მდებარეობის რაიონში შემუშავებულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის მიერ, რაც ეყრდნობა რეგიონში მდებარე მეტეოსადგურების მონაცემებს, კერძოდ კურორტ ბახმაროში, ქალაქ ოზურგეთში, სოფლებში ანასეული და ნასაკირალში.
- მდინარის აუზი მდებარეობს სუბტროპიკულ კლიმატურ არეალში (რუქა 2.3), რომელიც ხასიათდება ნოტიო ზღვის ჰავით, რბილი, თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით,




- ზღვის ნოტიო ჰავა, რბილი თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით:
- ა) ქარბად ნოტიო ქვეზონა, მთელი წლის განმავლობაში გაბატონებული ზღვიური ქარებით და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით შემოდგომა - ზამთარში
 - ბ) ნოტიო ქვეზონა, კარგად გამოსახული მუსონური ხასიათის ქარებით და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულ - შემოდგომაზე
 - გ) საკმაოდ ნოტიო ქვეზონა, მთელი წლის განმავლობაში ჩრდილოეთური რუმბის ქარების სიჭარბით და ხეზონების მიხედვით ნალექების რაოდენობის მცირე რყევა-დობით

ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებები

- მდინარე ბახვისწყალი ჰიდროლოგიურად კარგად შესწავლილ მდინარეთა კატეგორიას მიეკუთვნება. მდინარის წყლის რეჟიმზე დაკვირვება მიმდინარეობდა 1930 წლიდან 5 ჰიდროლოგიურ სადგურზე, თუმცა დღეისათვის არცერთი აღარ ფუნქციონირებს. შედარებით ხანგრძლივი დაკვირვებები აღინიშნებოდა კურ. ბახმაროს (1945- 1978) და ქვედა ბახვის საგუშაგოზე (1931-1986). სოფ. უკანავასთან დაკვირვებათა რიგი შედარებით ხანმოკლეა (1938-1947). დაკვირვებების პერიოდში რაიმე საშიში ჰიდროლოგიური მოვლენები არ გამოვლენილა. მდინარის კვების რეჟიმი სათავე უბანზე ძირითადად თოვლის დნობაა, ხოლო ქვემო დინებაში მნიშვნელოვნად მატულობს წვიმის წყლების როლი.
- საშუალოწლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილებისათვის საბაზოდ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კ. ბახმაროს, ისე სოფ. ქვედა ბახვის საგუშაგოს მონაცემები. იმის გამო, რომ ბახვი 3 ჰესის სათავე კვანძის შერჩეული გასწორი გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და განსაკუთრებით კი ჰიდროლოგიური კვების (ხასიათის მიხედვით უფრო მსგავსია კ. ბახმაროს საგუშაგოსი, მიზანშეწონილია საბაზოდ აღებული იქნას კ. ბახმაროს საგუშაგოს მონაცემები. ამასთან, შერჩეული გასწორი კ. ბახმაროსთან უფრო ახლოსაა (14 კმ) ვიდრე ს. ქვედა ბახვთან (17 კმ).
- კურორტ ბახმაროს ჰიდროლოგიური პუნქტის 27 წლიანი დაკვირვებებით მიღებული მონაცემების მიხედვით 1840 მ ნიშნულზე) საშუალო მრავალწლიური ხარჯი შეადგენს 1,87 მ³/წმ . აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, საშუალო მრავალწლიური ხარჯები გაანგარიშებულია ჩვენთვის საინტერესო კვეთში (494 მ ნიშნულზე), რაც შეადგენს 4,2 მ³/წმ-ს. (იხ.ცხრილი ქვემოთ) ამ მონაცემების საფუძველზე შედგენილია მდ. ბახვისწყლის ჰიდროგრაფიკა:

მდინარე ბახვი წყლის ჰიდროგრაფი და სხვა



აქვე, თვალსაჩინოებისთვის დავძენთ, რომ ელექტროენერჯის გამომუშავების დაანგარიშება ხორციელდება წყლის ხარჯვის, მთლიანი დაწნევის, ელექტრომექანიკური დანადგარების ეფექტიანობის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინების, რომლებიც შეიძლება რომ გამოისახოს შემდეგი განტოლებით:

$$P = \eta * \rho * g * Q * H / 10^6$$

სადაც: ρ - არის ტრანსფორმატორის მიერ გამომუშავებული სიმძლავრე

[MW] η - სადგურის საერთო ეფექტურობა

[-]

წყლის სიმკვრივე [1000kg/m³]

g გრავიტაციული აჩქარება [9.81 m/s²]

Q ტურბინაში გატარებული წყლის ხარჯი მ³/წმ. [m³/s]


H სათავის სუფთა სიმაღლე [მ]



კომპანიის კუთვნილი ჰიდროელექტროსადგურის („ჰესი“) მინიმალურ სიმძლავრედ განსაზღვრულია 950კვტ, რაც განპირობებულია ჰესში არსებული 2000კვტ-ნი ჰიდროაგრეგატის საქარხნო მონაცემებით. 950კვტ სიმძლავრეზე მუშაობისათვის საკმარისია 0.6მმ/წმ წყლის ხარჯი. ასეთი წყლის ხარჯი მდ. ბახვისწყალზე ჰიდრო მეტეო სადგურების მონაცემების თანახმად, თითქმის არ ხდება.

ანომალური გვალვების სეზონის გათვალისწინებით, რომელიც ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემების წყაროს შესაბამისად შესაძლოა დადგეს 25 წელიწადში ერთხელ, რამოდენიმე კვირის განმავლობაში (არა უმეტეს ერთი თვისა), მდინარეში შესაძლოა დაფიქსირდეს მცირე ხარჯები (0.6მმ/წმ), რომლის დროსაც ჰესს აქვს შესაძლებლობა იმუშაოს დაბალ დატვირთვაზე და მაინც გამოიმუშავოს 950 კვტ ელექტროენერჯია.

კომპანიის გამოცდილება და აქტივობები

- 2012 წლის სექტემბერში, ჰესის მშენებლობის პროცესში, მისი შენობის მიმდებარე ფერდობზე განვითარდა გეოლოგიური მოვლენები, რამაც გამოიწვია ფერდობის ჩამოშლა და მწყობრიდან გამოიყვანა აგებული შენობა.
- კომპანიის დაკვეთით 2013 წელს მომზადდა დამეწყრილი ფერდობის მდგრადობის უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე დასკვნა და მის შესაბამისად კომპანიამ ფერდობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად განახორციელა ფერდობის გრუნტის მოხსნა და ტერასის მოწყობა. აღნიშნულით გამოირიცხა გრუნტის ხელახალი ჩამოქცევის საშიშროება.
- 2016 წლის 1 აგვისტოს წერილით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაადასტურა კომპანიის მიერ რისკის შესამცირებლად შესრულებული სამუშაოები, ხოლო 2017 წლის 6 იანვრის წერილით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმდა ჰესის სადერივაციო არხისა და სადაწნეო მილსადენის დერეფანში არსებული 14 ხევის ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში.
- მიმდინარე ეტაპზე, კომპანია ახორციელებს შენობის მიმდებარე ტერიტორიის მუდმივ მონიტორინგს და აწარმოებს მონიტორინგის შედეგების აღრიცხვას, ბუნებრივი კატასტროფების რისკის მინიმიზაციის და მათზე ადრეული რეაგირების მიზნით.
- **სეისმურობა:** საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება ჰესის ტერიტორიაზე და მათი ინტენსიობა დამოკიდებულია რელიეფის ენერგეტიკულ პოტენციალზე, არსებული კლდის გეოლოგიურ თვისებებზე და ლანდშაფტურ-მეტეოროლოგიური თავისებურებებზე. რაც შეეხება ადამიანის ზეგავლენას გეოლოგიურ გარემოზე, ის აქ მცირე მოცულობისაა და შესაბამისად ნეგატიური ზეგავლენა შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ ეროზირებული ფერდობებზე არსებული დაჭიმულობის მიუხედავად, ქანობის ეროზიის განვითარება და გრავიტაციული პროცესები ხშირი ტყის საფარის გამო, მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ბახვი 3 ჰესის ტერიტორია საქართველოს ზოგადი





დაზღვევით სარგებლობა

ბუნებრივი კატასტროფების რისკებისგან კომპანიას 2016 წლის 28 ივლისიდან ჰესი დაზღვეული აქვს სს სადაზღვევო კომპანია “ჯიპიაი ჰოლდინგში“. 2017 წლის 27 ივლისიდან აღნიშნული სადაზღვევო პაკეტი კვლავ განახლდა ერთი წლის ვადით შემდეგი პირობებით:

(1) ქონების დაზღვევა - სადაზღვევო თანხა შეადგენს 11'496'824 აშშ დოლარს, დაზღვეული რისკებია:

ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, საფრენი აპარატის ჩამოვარდნა, სტიქიური მოვლენები - სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, გრუნტის აწევა ან დაწევა, თოვლის სიმძიმით გამოწვეული ფიზიკური ზიანი, ჰაერის მასების მოძრაობა 20 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესებით ატმოსფეროში; ქურდობა, ქურდობის მცდელობა; ძარცვა, ყაჩაღობა; მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; სატრანსპორტო საშუალებათა შეჯახება; დატბორვა;

(2) მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის დაზღვევა - სადაზღვევო თანხა შეადგენს 3949203 აშშ დოლარს, დაზღვეული რისკებია:

შეცდომა ან გაუფრთხილებლობა მანქანა-დანადგარის მოხმარებისას; ელექტროენერჯის მოქმედება: დენის ძალის მკვეთრი ცვლილება, ძაბვის მატება, მოკლე ჩართვა; მეხის დაცემის ან სხვა ატმოსფერული განმუხტვის შედეგად წარმოქმნილი ძაბვის მატება ან ინდუქციური მოქმედება; ცენტრიფუგული ძალების მოქმედება; წყლის ნაკლებობა ორთქლის ბოილერებში ან სხვა მოწყობილობაში; წნევის შემცირებით გამოწვეული შეკუმშვა; წნევის გაზრდით გამოწვეული რღვევა, გარდა აფეთქების; გამაგრებელი ან გამათბობელი დანადგარის მწყობრიდან გამოსვლა; წარმოების დეფექტი ან შეცდომა დამზადების ან აწყობის დროს.

(3) ჰესის საქმიანობის შეფერხების დაზღვევა, გამოწვეული ქონების დაზიანებით, ან მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლით - სადაზღვევო თანხა შეადგენს 1 500 000 აშშ დოლარს.

კომპანია დაზღვეულია ჰიდროელექტროსადგურის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის გამო საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის შედეგად მიყენებული პირდაპირი ზარალისაგან. საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის შედეგად კომპანიას უნაზღაურდება შემცირებული ბრუნვის მოცულობა, რომელიც დგინდება კონკრეტულ პერიოდზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

- პოტენციური პროექტები მდ.ბახვისწყალზე

2016 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს მთავრობას, შპს ჯორჯიან ჰიდრო ფაუნდს, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს საქართველოს გაერთიანებული ენერჯოსისტემა საქრუსენერჯოს, შპს ენერჯოტრანსს და სს ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის თანახმად, შპს ჯორჯიან ჰიდრო ფაუნდს ახორციელებს მდინარე ბახვისწყლის ზედა მონაკვეთში 20 მგ.ვტ სიმძლავრის ჰესის პროექტირების სამუშაოებს, რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნას გადაწვეტილება აქ ჰესის მშენებლობაზე.

მდინარე ბახვისწყალზე ზედა მონაკვეთში სამომავლოდ სხვა ჰესის შესაძლო აშენება, დადებითად აისახება კომპანიის საქმიანობაზე, რადგან:

ახალი ჰესის ინფრასტრუქტურის გამოყენების საშუალებით ჩნდება სახელმწიფო ქსელთან ალტერნატიული გზით დაკავშირების შესაძლებლობა, ისევე როგორც ახალი ჰესების მიერ კომპანიის ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც დამატებითი შემოსავლის წყაროა.

ჩნდება ელექტროენერგიით ერთობლივად ვაჭრობის შანსი, რაც თავისთავად ქმნის ახალი, კომერციულად მომგებიანი ტრანსაქციების განხორციელების შესაძლებლობებს, ვინაიდან გაყიდვების გაერთიანების შემთხვევაში ჰესებს უჩნდებათ ბაზარზე უფრო მეტი თავისუფლებით ლავირების (მანევრირების) პრაქტიკული შესაძლებლობა.

ტექნიკური თვალსაზრისით, წყალუხვობის პერიოდში, როცა მდინარეს მოაქვს ნაშალი მასალა, მდინარის ზედა ნაწილში არსებული სხვა ჰესი მოახდენს ამ ნაშალისგან მდინარის გაწმენდას ან მინიმუმ, ამ ნაკადის შესახებ გაცილებით ადრე შეიტყობს კომპანია და მზად იქნება მოსალოდნელი ნაშალის გასატარებლად.

სისტემის გათიშვის შემთხვევაში დამატებითი ჰესი წარმოადგენს კომპანიის ელექტროენერგიის დამატებით წყაროს, კომპანიის ელექტროენერგიით ავტონომიური მომარაგების ისეთ არსებულ საშუალებებთან ერთად, როგორცაა აგრეგატის ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობა და დიზელგენერატორი.

გაცვლითი კურსის ცვლილებებმა შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე

კომპანიის საქმიანობა ფინანსდება გაუნაწილებელი მოგებითა და კრედიტის სახით მიღებული თანხებით. ამჟამად, კომპანიის მიერ კრედიტის სახით მიღებული თანხების 100% დენომინირებულია აშშ დოლარში. 2017 წლიდან კომპანიის შემოსავლების 44% დენომინირებულია დოლარში, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. კომპანიის შემოსავლების 35%, რომელიც დაკავშირებულია ელექტროენერგიის ექსპორტთან, დენომინირებულია აშშ დოლარში, ხოლო დარჩენილი 21% დენომინირებულია ლარში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად კომპანიას აქვს ვალუტის მართვადი შეუსაბამობა, არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია შეძლებს მთლიანად აღმოფხვრას ვალუტის შეუსაბამობის რისკი. დაფინანსებასა და შემოსავლების ვალუტას შორის ეს შეუსაბამობა ხასიათდება გაცვლითი კურსის რისკით, შესაბამისად, სავალუტო კურსის არასტაბილურობას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

კომპანიის სავალუტო პოზიციის რისკებზე დადებითად აისახება ის გარემოება, რომ მიუხედავად ქვეყანაში მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით ფასის მხოლოდ ლარში გამოხატვის მოთხოვნისა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №93/04 ბრძანების 1.7 მუხლის თანახმად, ასეთი შეზღუდვა არ ვრცელდება მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებასა ან/და რეკლამირებაზე, თუ აღნიშნული დაკავშირებულია ელექტროენერგიის იმპორტთან, ექსპორტთან/რეექსპორტთან და/ან ტრანზიტთან.

მოულოდნელმა და უარყოფითმა ცვლილებებმა ელექტროენერჯის გენერაციისა და გაყიდვის რეგულაციებში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე

„საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ („სემევი“) არეგულირებს ენერჯეტიკის სექტორს. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილების 2 (ბ) ქვეპუნქტის თანახმად, სემევი ადგენს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, ლიცენზირების წესებსა და პირობებს.

მარეგულირებელი განსაზღვრავს ელექტროენერჯის გენერაციის, გადაცემის, დისპეტჩირებისა და განაწილების პროცედურებსა და ტარიფებს. არსებულ რეგულაციებში უარყოფითმა ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს გაზრდილი საოპერაციო ხარჯები და ამგვარად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ელექტროენერჯის ბაზარზე კონკურენციას ზრდამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე

ელექტროენერჯის მიწოდება-მოხმარების ფაქტობრივი ბალანსის გათვალისწინებით, მიუხედავად ქვეყანაში გენერაციის მატებისა, ელექტროენერჯის მოხმარება მაინც მაღალია. შესაბამისად, ელექტროენერჯის ახალი წყაროს ბაზარზე დამკვიდრება ან უკვე დამკვიდრებულ წყაროებს შორის კონკურენცია არ არის არსებითი. აღნიშნულს ასევე განაპირობებს ბოლო პერიოდში იმპორტირებული ელექტროენერჯის ენერჯის ფასის ზრდა. ქვეყნის გაცხადებულ პოლიტიკას წარმოადგენს, იმპორტის შემცირება ადგილობრივი რესურსების წყაროების განვითარების ხარჯზე. შესაბამისად, კონკურენციასთან დაკავშირებული რისკები ბაზარზე ამჟამად უმნიშვნელოა, თუმცა ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში შეტანილი და შემდგომში დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, მოსალოდნელია კონკურენციის გააქტიურება.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 30 ივნისს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, გარდა 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ჰესებისა და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისა (ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 13 მგვტს), ასევე დერეგულირებულია არაუმეტეს 40 მგვტ სიმძლავრის ჰესები და მათი ტარიფები არ ექვემდებარება სემევის რეგულაციებს.

აღნიშნული ცვლილების მიზანია კონკურენციის წახალისება ენერჯეტიკის ბაზარზე მცირე და საშუალო ზომის ჰესებს შორის, რადგან აღნიშნული ქმნის განახლებადი ელექტროენერჯით თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობას და პირდაპირ წვდომას მომხმარებელთან. რაც გამოიწვევს სათანადო საფინანსო ინსტრუმენტების და სხვადასხვა სერვისების განვითარებას. სავარაუდოა, რომ მსგავსი ტენდენცია განვითარდება ევროპასთან ასოცირებისა და ენერჯეტიკული

გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, რაც მოიცავს, თავისუფალი კონკურენტული ბაზრის განვითარებასა და უზრუნველყოფას.

კომპანიის ჰიდროელექტროსადგური თავისუფალი კონკურენციის პირობებში ბაზარზე დამაჯერებლად არის წარმოდგენილი შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

- (1) კომპანიას უზრუნველყოფილი აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულებები ელექტროენერჯის გაყიდვაზე ადგილობრივ ბაზარზე, ასევე - უფლება ელექტროენერჯის ექსპორტზე რელიზაციასთან მიმართებით სს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან ელექტროენერჯის გადაცემა-დისპეჩერიზაციის მომსახურების შესახებ გრძელვადიანი ხელშეკრულების ფარგლებში.
- (2) კომპანიას აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხანგრძლივი დროით ფიქსირებული გარანტირებული ფასი და შეუძლია 100%-მდე გენერირებული ელექტროენერჯია მიყიდოს ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს (ესკო), ფიქსირებულ გარანტირებულ შესყიდვის ფასად \$ 0.055 კვტ/სთ-ზე 3 დამატებითი თვის (ნოემბერი, მარტი და აპრილი) განმავლობაში, ყოველწლიურად, 2023 წლამდე.
- (3) კომპანიას აქვს ენერგოპროსთან მიმართებით გაყიდვების დადებითი ისტორია.
- (4) ჰესის ადგილმდებარეობა ხელშემწყობი ფაქტორია, კონკურენტუნარიანი ფასის შეთავაზების თვალსაზრისით. ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებელისადმი მიწოდებისთვის ზოგადად წარმოიშობა გატარების, გადაცემის ხარჯები, ხოლო თუ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე აუცილებელი არ არის 220 კვ. ძაბვაზე მეტი გადამცემი ხაზების გამოყენება, ასეთი ხარჯი არ წარმოიშობა და ფასწარმოქმნაში შესაბამისი კომპონენტი არ გაითვალისწინება. შედეგად კომპანიას შეუძლია ადგილობრივ მომხმარებლებს შესთავაზოს უფრო კონკურენტული ფასი.

ინფრასტრუქტურის უქონლობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე

ნებისმიერმა მოულოდნელმა ტექნიკურმა თუ სხვა სირთულეებმა ელექტროენერჯის გადამცემ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევს ელექტროენერჯის გადაცემის მოცულობების შემცირებას, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიაზე სანქციების დაკისრება (იხ. პუნქტი „ურთიერთგაგების მემორანდუმი“)

კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული „ურთიერთგაგების მემორანდუმის“ თანახმად, კომპანიის საექსპორტო საქმიანობაზე ვრცელდება შემდეგი შეზღუდვები: ბაზვი 3 ჰესის

ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში (2013 წლის დეკემბერი) ყოველი წლის ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) ელექტროენერჯის მიყიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ (ესკო) წინასწარ შეთანხმებული გარანტირებული შესყიდვის ტარიფით \$0.055 აშშ დოლარის ოდენობით ერთ კვტ.სთ-ზე, ელექტროენერჯის გარანტირებული გაყიდვისა და შესყიდვის კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე. იგივე პერიოდის განმავლობაში კომპანია ასევე ინარჩუნებს ელექტროენერჯის მიყიდვის უფლებას ყოველი წლის მარტში, აპრილსა და ნოემბერში „ესკო“-თვის, წინასწარ შეთანხმებულ გარანტირებულ ფასად - \$ 0.055 კვ/სთ-ზე, ან ნებისმიერი მყიდველისთვის საქართველოში, თავისუფალი ტარიფით. მოცემულ პერიოდში „ბახვი 3 ჰესის“ მიერ გენერირებული ელექტროენერჯია არ გავა ექსპორტზე და გაიყიდება ზემოთ აღნიშნული პირობებით.

დღეის მდგომარეობით, კომპანია ასრულებს ყველა ვალდებულებას შეზღუდვებთან დაკავშირებით.

კომპანიის საქმიანობას ზიანი მიადგება თუ ის ვერ მოიზიდავს და შეინარჩუნებს ხელმძღვანელობის წამყვან პირებს, თანამშრომლებს ან სხვა კვალიფიციურ პერსონალს.

კომპანიის ბიზნესის წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია მისი ხელმძღვანელობის წამყვანი პირებისა და თანამშრომლების განგრძობად სამსახურზე და მის მიერ კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და მოტივირების უნარზე. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობის წამყვანი პირებისა და თანამშრომლების ნაწილმა დაამყარა მნიშვნელოვანი სამუშაო ურთიერთობები მარეგულირებლებთან და მათ აქვთ დეტალური ცოდნა კომპანიისა და იმ ბაზრების შესახებ, სადაც იგი ოპერირებს. კომპანიის წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია მის მიერ ასეთი პერსონალის შენარჩუნებასა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვაზე, საჭიროების შემთხვევაში. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს საკმარისი კვალიფიციური კადრების მოზიდვას, დასაქმებასა და შენარჩუნებას. ამის განუხორციელებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

გაფიცვებმა და სხვა ქმედებებმა შესაძლოა შეაფერხოს ან გააძვიროს კომპანიის ობიექტების მუშაობა

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულ განაკვეთზე დასაქმებული ჰყავდა 43 თანამშრომელი. თანამშრომელთა გათავისუფლებამ ან მათი ანაზღაურების შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს დასაქმებულთა უკმაყოფილება. დასაქმებულთა უკმაყოფილებამ ან საოპერაციო პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების შეუძლებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ობიექტების მუშაობაზე და, პოტენციურად, კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

2009 წლიდან დღემდე კომპანიაში არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, რომელიც კლასიფიცირდება როგორც გაფიცვა, დავა ან ლოკაუტი საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად. (იხ. პუნქტი „თანამშრომლები“).

ძირითადი მომხმარებლების მიერ კომპანიის წინაშე მათი ვალდებულებების სრულად და დროულად დაფარვის შეუძლებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე

კომპანია ყიდის წარმოებული ელექტროენერჯის დიდ ნაწილს ადგილობრივ კორპორატიულ კლიენტებზე ("ენერგო-პრო ჯორჯია") და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ „ესკოზე“ საქართველოში, და ასევე ახორციელებს ელექტროენერჯის ექსპორტს გარანტირებულ სახელშეკრულებო მყიდველზე, რომელიც თურქეთის რეზიდენტია. მიუხედავად იმისა, რომ 2015-1016 წლებში კომპანიას ჰქონდა დებიტორული დავალიანების ამოღების მაღალი კოეფიციენტი ამ მომხმარებლებისგან, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ასეთი ტენდენცია შენარჩუნდება. ეკონომიკურ სირთულეებს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ბიზნეს მომხმარებელთა მიერ კომპანიისგან შეძენილი ელექტროენერჯის საფასურის გადახდის უნარზე.

ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც უარყოფითად აისახება კომპანიის ძირითადი მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაზე გამოიწვევს მათ მიერ შეძენილი ელექტროენერჯის საფასურის დაფარვის სირთულეებს, რამაც თავის მხრივ, შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები

ობლიგაციების საბაზრო ფასი შესაძლოა იყოს არასტაბილური

ობლიგაციების საბაზრო ღირებულება შეიძლება დაექვემდებაროს მნიშვნელოვან რყევებს კომპანიის საოპერაციო შედეგების რეალური და მოსალოდნელი ვარიაციების, კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების რეალური და მოსალოდნელი ვარიაციების, ბიზნესში განვითარებული არასასურველი მოვლენების, იმ მარეგულირებელი გარემოს ცვლილების, სადაც ოპერირებს კომპანია, ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსების მიერ ფინანსური მაჩვენებლების ცვლილებისა და დიდი რაოდენობით ობლიგაციების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი გაყიდვების და ასევე სხვა ფაქტორების საპასუხოდ, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიაზე, მათ შორის საქართველოში ეკონომიკისა და ბაზრის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალურმა ფინანსურმა ბაზრებმა განიცადეს ფასებისა და მოცულობის მნიშვნელოვანი რყევები, რაც მომავალში განმეორების შემთხვევაში, შესაძლოა უარყოფითად აისახოს ობლიგაციების საბაზრო ფასზე და გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. თუ ობლიგაციებით ვაჭრობის ბაზარი აქტიურად განვითარდება, შეიძლება საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ განვითარებულმა

მოვლენებმა გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა და ასეთ არასტაბილურობას შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს ობლიგაციების ლიკვიდურობაზე ან ფასზე, ხოლო ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს ჰქონდეს სხვა სახის უარყოფითი ეფექტი. თავდაპირველად გამოშვების შემდეგ ობლიგაციებით ვაჭრობის შემთხვევაში, ობლიგაციებით ვაჭრობა შესაძლოა მოხდეს მათი შეთავაზების ფასზე დისკონტის გავრცელებით, იმისდა მიხედვით, თუ რომელი საპრცენტო განაკვეთი დომინირებს, როგორია მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ეკონომიკის ზოგადი და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ან სხვა ფაქტორები, რომელთაგან ზოგი შესაძლოა კომპანიის კონტროლს მიღმა იყოს.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს

ობლიგაციებით გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა კომპანიის მიმართ იქნება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილებაც მოხდება უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ. კომპანიის მიერ ამგვარი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია მის ლიკვიდურობაზე, საერთო ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების ნაკადების გენერირების შესაძლებლობაზე.

მომავალში საქართველოს კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციებზე, მათ შორის მათ ვაჭრობაზე საქართველოს საფონდო ბირჟაზე

ობლიგაციების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის გამოცემის თარიღისთვის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ამ პირობებზე შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კანონმდებლობის ცვლილებებმა ან სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილმა განსხვავებულმა პრაქტიკამ, და ეს ცვლილებები შეიძლება ნებისმიერ დროს განხორციელდეს.

ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში ან სავალუტო ერთეულში, შესაძლოა მიიღონ მოსალოდნელზე ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ან არ მიიღონ პროცენტი ან ძირითადი თანხა ობლიგაციებზე გაცვლითი კურსის მერყეობის ან სავალუტო შეზღუდვის დაწესების შედეგად

კომპანია გადაიხდის ძირითად თანხას და პროცენტს ობლიგაციებზე აშშ დოლარში. ეს ქმნის გარკვეულ რისკებს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებით, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში (ინვესტორის ვალუტა). აღნიშნული მოიცავს რისკებს, რომ გაცვლითი კურსები მნიშვნელოვნად შეიცვლება,

მათ შორის ცვლილებები აშშ დოლარის გაუფასურების ან ინვესტორის ვალუტის დევალვაციის გამო და რომ ორგანოებმა, რომელთა იურისდიქცია ვრცელდება კომპანიის ან ინვესტორის ვალუტაზე, შესაძლოა დააწესონ შეზღუდვები ან სხვანაირად შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები.

ობლიგაციებში ინვესტირებისას სამართლებრივი საკითხების გათვალისწინება

გარკვეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების შესახებ კანონებს და რეგულაციებს, ან გარკვეული სახელმწიფო ორგანოების მიერ შეფასებას ან რეგულირებას. თითოეულმა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს იურიდიულ მრჩეველებთან რათა განსაზღვროს არის თუ არა ან რამდენადაა შესაძლებელი რომ (i) ობლიგაციებში ინვესტიცია იყოს კანონიერი ინვესტიციის სახე მათთვის; (ii) ობლიგაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას უზრუნველყოფის სახით სხვადასხვა სესხებისთვის და (iii) ობლიგაციების შესყიდვაზე ან მათ დაგირავებაზე თუ ვრცელდება სხვა შეზღუდვები. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ თავიანთ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ ობლიგაციების განკარგვის საკითხი ნებისმიერი რისკებზე დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების შესაბამისად.

ინვესტორები უნდა ეყრდნობოდნენ რეგისტრატორის და ნომინალური ობლიგაციონერის პროცედურებს (სადაც გამოსაყენებელია)

კომპანია შეასრულებს ობლიგაციებით გათვალისწინებულ გადახდის ვალდებულებას ფასიანი ქაღალდების რეესტრში რეგისტრირებული ობლიგაციონერებისთვის და ნომინალური ობლიგაციონერებისთვის გადახდით (ეს პირობები განმარტებულია პუნქტში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“). ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს რეგისტრატორისა და ნომინალური ობლიგაციონერის პროცედურებს (სადაც გამოსაყენებელია) ობლიგაციებთან დაკავშირებული გადახდების მისაღებად. კომპანია პასუხს არ აგებს ჩანაწერებზე, რომლებიც გაკეთებულია, ან გადახდებზე რომლებიც განხორციელებულია ნებისმიერ ობლიგაციაზე ბენეფიციარის უფლებასთან მიმართებაში.

ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს მომავალში

ობლიგაციების პირობები მოიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს ობლიგაციონერთა კრების მოწვევას იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც გავლენას ახდენს ზოგადად მათ ინტერესებზე. ეს დებულებები ნებას რთავს ობლიგაციონერთა განსაზღვრულ უმრავლესობას დაავალდებულოს ყველა ობლიგაციონერი, მათ შორის ის ობლიგაციონერები, რომლებიც არ დაესწრებიან კრებას და არ მიიღებენ მონაწილეობას შესაბამის კენჭისყრაში, და ობლიგაციონერები, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას კენჭისყრაში უმრავლესობის

საწინააღმდეგოდ (იხ. პუნქტი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პირობა 10 – „ობლიგაციონერები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებისთვის

არ არსებობს იმის გარანტია, რომ განვითარდება აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებისთვის, ან რომ ასეთი ბაზრის განვითარების შემთხვევაში ის შენარჩუნდება. თუ არ განვითარდება ან ვერ შენარჩუნდება აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებისთვის, ბაზარზე ან სავაჭრო ფასზე და ობლიგაციების ლიკვიდურობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვადასხვა ფაქტორმა, რომელთაგან ზოგი შეიძლება არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ხორციელდება ობლიგაციებით ვაჭრობა თავდაპირველი გამოცემის შემდეგ, შესაძლებელია ობლიგაციებით ვაჭრობა მათ თავდაპირველ შეთავაზების ფასზე დისკონტირებით, დომინირებული საპროცენტო განაკვეთის, ანალოგიური ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ეკონომიკის ზოგადი და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით.

ვადაზე ადრე გამოსყიდვის რისკი (იხ. პუნქტი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პირობა 6 – „გამოსყიდვა და შესყიდვა“)

ობლიგაციები შეიძლება გამოსყიდული იქნას მათი ვადის გასვლამდე. ვადის გასვლამდე ობლიგაციების გამოსყიდვის შემთხვევაში, ობლიგაციების მფლობელი დგას შედარებით დაბალი საპროცენტო შემოსავლის რისკის ქვეშ ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო ვადის გასვლის შემდეგ გამოსყიდვის შემთხვევაში. გარდა ამისა, გამოსყიდვა შეიძლება მოხდეს იმ მომენტში, როდესაც საპროცენტო შემოსავალი მსგავს ობლიგაციებზე კაპიტალის ბაზარზე შემცირებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ინვესტორს შეუძლია განახორციელოს გამოსყიდვისას მიღებული თანხის რეინვესტირება მხოლოდ იმ ობლიგაციებში, რომლებსაც დაბალი სარგებელი ექნებათ.

ანგარიშვალდებულ კომპანიებზე მოქმედი დამატებითი მოთხოვნები

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე გავრცელდება დამატებითი რეგულაციები და ანგარიშგების მოთხოვნები

ანგარიშგების ვალდებულებები

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ, კომპანია გახდება „ანგარიშვალდებული საწარმო“ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონით“ გათვალისწინებული მნიშვნელობით (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“).

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო არის კომპანია, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები, გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და დაშვებულია საფონდო ბირჟაზე. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია „საქართველოს ეროვნულ ბანკს“ წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები. ობლიგაციებით „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ვაჭრობის შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია ასევე უნდა მიეწოდებოდეს საქართველოს საფონდო ბირჟას.

ანგარიშვალდებული საწარმო ასევე ვალდებულია წარუდგინოს ეროვნულ ბანკს ინფორმაცია ყველა გარიგებასთან დაკავშირებით, სადაც 1) მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები; 2) გარიგების ფასი შეადგენს ან აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 10%-ს და გარიგება იდება ანგარიშვალდებული კომპანიების 100%-იან შვილობილ კომპანიებთან და 100%-იან პარტნიორთან. ანგარიშვალდებული საწარმო ასევე ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია ასეთი გარიგების შესახებ.

დაინტერესებულ მხარეთა ტრანზაქციების დამტკიცება

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი ადგენს გარკვეულ დამტკიცებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული კომპანიის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით. ქვემოთ მოყვანილი მოთხოვნები არ ვრცელდება გარიგებებზე 100%-იან შვილობილ კომპანიებთან და ანგარიშვალდებული კომპანიის 100%-იან პარტნიორთან, გარდა იმ შემთხვევისა თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ანგარიშვალდებული კომპანიის მმართველი ორგანოების წევრები და მისი აქციების 20%-ის ან მეტის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მესაკუთრეები ითვლებიან დაინტერესებულ მხარეებად. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის თანახმად, ანგარიშვალდებული კომპანიის გარიგება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, სადაც (ა) დაინტერესებული მხარე იღებს სარგებელს გარიგებისგან; ან (ბ) კავშირები აქვს გარიგების მეორე მხარესთან (მაგალითად, ფლობს მისი აქციების 20%-ს ან მეტს), უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა საერთო კრების მიერ მათი კომპეტენციის შესაბამისად. დაინტერესებული მხარეების მონაწილეობითი დადებულ გარიგებებს, რომელთა ღირებულება შეადგენს ან აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 10%-ს, ამტკიცებს პარტნიორთა საერთო კრება. დაინტერესებული პირი ვალდებულია აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს, და საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორთა საერთო კრებას, ამ ტრანზაქციაში მისი ინტერესის შესახებ.

ანგარიშვალდებული კომპანია ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ყველა ზემოაღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებით, სადაც მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები ან რომელიც შეადგენს ან აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 10%-ს, და გამოაქვეყნოს ინფორმაცია ამ გარიგების შესახებ. ეს მოთხოვნა ასევე ვრცელდება გარიგებებზე ანგარიშვალდებული კომპანიების 100%-იან შვილობილ კომპანიებთან და 100%-იან პარტნიორებთან.

დაინტერესებულ მხარეებთან გარიგებების დამტკიცების მოთხოვნები და ანგარიშების მოთხოვნები დამატებით მარეგულირებელ ტვირთს აკისრებს კომპანიას და შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი საქმიანობის შედეგიანობაზე. ამასთანავე, საჭირო დასტურის მიუღებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული გარიგებების ბათილად ცნობა და სანქციების დაკისრება კომპანიის ხელმძღვანელობის წევრებზე კონკრეტულ შემთხვევებში.

სხვა ანგარიშგებები

საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე ანგარიშგების ვალდებულება რიგ შემთხვევებში წარმოეშობა ასევე ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრს. კერძოდ, მმართველი ორგანოს წევრი, თუ იგი ფლობს ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიან ქალაქს, ვალდებულია წარუდგინოს ეროვნულ ბანკს ანგარიში ამ ფასიანი ქალაქების პროცენტული ოდენობის შესახებ. ხოლო თუ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქალაქებით ვაჭრობა ხდება საფონდო ბირჟაზე, მაშინ ანგარიში წარედგინება საფონდო ბირჟასაც. ანგარიშის წარდგენის ვალდებულება წარმოიშობა არაუგვიანეს 10 დღისა იმ დროიდან, როცა: (ა) საწარმო გახდა ანგარიშვალდებული; (ბ) პირი გახდა მმართველი ორგანოს წევრი; (გ) პირმა შეიძინა აღნიშნული საწარმოს ფასიანი ქალაქები.

ანგარიშგებას ექვემდებარება ასევე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქალაქების მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ ინფორმაცია, ასეთი ფაქტის დადგომიდან 15 დღის ვადაში. პირთა ჯგუფად ითვლება, თუ ასეთ პირებს შორის არსებობს შეთანხმება: (ა) ანგარიშვალდებული საწარმოს საჯარო მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქალაქების შეძენის, ფლობისა და განკარგვის საერთო პოლიტიკის წარმოების შესახებ; (ბ) ამ ფასიან ქალაქებთან მიმართებით მესაკუთრის ნებისმიერი უფლების, მათ შორის, ხმის უფლების გამოყენების შესახებ. ანგარიშგება უნდა მოხდეს ეროვნული ბანკის, ემიტენტისა და საფონდო ბირჟის წინაშე, სადაც ხდება ფასიანი ქალაქებით ვაჭრობა.

მოთხოვნათა რიგითობა გაკოტრების საქმის წარმოებისას

კომპანიის გადახდისუნარობის შემთხვევაში, თუ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მისი გაკოტრების შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება შემდეგი რიგითობით:

1. საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების ხარჯები.
2. გაკოტრების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. მეურვის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;

4. ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის უზრუნველყოფილი საგადასახადო მოთხოვნები;
5. არაუზრუნველყოფილი საგადასახადო ვალდებულებები;
6. ყველა დარჩენილი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;
7. დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, და აქედან გამომდინარე გადახდისუუნარობის შემთხვევაში ობლიგაციონერების მოთხოვნები ხვდება ზემოთ ჩამოთვლილი სიის მეექვსე რიგში.

ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული შემოსავლის გამოყენება

ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი 1,265,000 აშშ დოლარის ოდენობით გამოყენებული იქნება კომპანიის მიერ ბანკის მიმდინარე ვალის ნაწილობრივი რეფინანსირებისთვის, და ამგვარად კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის გაძლიერებისა და დივერსიფიცირებისთვის.

გადასახდელი სესხის ოდენობა, რომლის რეფინანსირებაც მოხდება გამოშვებული ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლით, 2017 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, შესაბამისი თარიღებით, მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ობიექტის ტიპი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადის გასვლა	რაოდენობა US\$ '000
TBC ბანკის სესხი 2	US\$	3თვიანი Libor + 8,5p.p.	26.12.2026	1,265

ჰიდროელექტროსადგურის ფინანსირებისათვის 2012 წლის 26 ივლისს გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“, 5'410'000 აშშ დოლარზე. ბანკის მოთხოვნით, კომპანიას საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურებას ბაზვის პროექტზე უწევდა Fichtner Water & Transportation (და სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ ანგარიშებს წარუდგენდა ბანკს. 2015 წლის დეკემბერში მოხდა KfW-ს პროექტში შემოსვლა, სესხის თანხის გაზრდა 7 მილიონ აშშ დოლარამდე. 2016 წლის 16 დეკემბერს აღნიშნული სესხი გადაიფარა სს თიბისი ბანკის მიერ გაცემული სესხით.

სს თიბისი ბანკთან გაფორმებული 2016 წლის 16 დეკემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კომპანიას აღებული აქვს სესხი 5'500'000 აშშ დოლარი, ვადა 2026 წლის 16 დეკემბერი. საპროცენტო განაკვეთი - 8%, დამატებული კრედიტის გაცემის მომენტში დაფიქსირებული აშშ დოლარის ლიბორის 3 თვიანი განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი შეადგენს წლიურ 9.4%-ს. სესხის დაფარვა ხორციელდება შემდეგნაირად: ძირითადი თანხა და დარიცხული სარგებელი ყოველკვარტლურად თანაბარწილებად.

ამავე დღეს გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კომპანიას აღებული აქვს სესხი 1'265'000 აშშ დოლარი, ვადა - 2026 წლის 16 დეკემბერი, საპროცენტო განაკვეთი 8.5% დამატებული კრედიტის გაცემის მომენტში დაფიქსირებული აშშ დოლარის ლიბორის 3 თვიანი განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი შეადგენს წლიურ 9.4%-ს. სესხის დაფარვა ხორციელდება შემდეგნაირად: დარიცხული სარგებელი ყოველკვარტლურად, ხოლო ძირითადი თანხა პერიოდის ბოლოს.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე: გაასხვისოს ან იპოთეკით დატვირთოს უზრუნველყოფაში წარდგენილი ქონება; გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს ან დააგირავოს მის საკუთრებაში არსებული ქონება მესამე პირის სასარგებლოდ; განახორციელოს კაპიტალური დაბანდებები ან ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიცია, რომლის ღირებულება აღემატება წელიწადში 250'000 ლარს.

აღნიშნული სესხების უზრუნველსაყოფად, 2016 წლის 16 დეკემბრის იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებებით, იპოთეკით დატვირთულია კომპანიის კუთვნილი 54 ერთეული უძრავი ქონება, მდებარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ხოლო გირავნობით არის დატვირთული კომპანიის კუთვნილი არსებული და სამომავლო ნებისმიერი ქონება, ყველა აქტივი, უფლებები, მოთხოვნები, ლიცენზიები და მოძრავი ქონება.

ბახვის ჰიდროელექტროსადგურის რენტაბელობის ანალიზი

ხარჯების თავდაპირველი სტრუქტურა

ბახვის ჰიდროელექტროსადგურთან დაკავშირებული თავდაპირველი ხარჯების დაფინანსება მოხდა კომბინირებულად - დაფუძნებლების შენატანებით (როგორც კაპიტალში შენატანი, ასევე დამფუძნებლის სესხი) და პირდაპირი საბანკო სესხებით. ბახვის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის თავდაპირველი ხარჯების სტრუქტურა იყო შემდეგი:

ხარჯების თავდაპირველი სტრუქტურა	ლარი '000	აშშ დოლარი '000	% ჯამიდან
სესხი (% ჯამიდან)	17,204	6,500	44%
საკუთარი კაპიტალი (% ჯამიდან)	22,172	8,377	56%
სულ	39,376	14,877	100%

ინვესტიციის ამოღების ვადა

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ბახვის პროექტი საბაზისო სცენარის მიხედვით გამოიმუშავებს შემდეგი მოცულობის თავისუფალ საბრუნავ სახსრებს (Free Cash Flow) მომდევნო წლებში:

FCFF* (აშშ დოლარი '000)	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
EBIT (შემოსავალი პროცენტის)	679	772	815	847	881	915	952	990	1,030	1,072	1,116	1,162	1,210	1,260	1,313

დარიცხვამდე და დაბეგრამდე) მოგების გადასახადი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
EBIAT (შემოსავალი პროცენტის დარიცხვამდე და დაბეგრის შემდეგ)	679	772	815	847	881	915	952	990	1,030	1,072	1,116	1,162	1,210	1,260	1,313
კორექსცია	(14,877)	242	222	223	223	223	223	223	223	223	224	224	224	224	224
ცვტა	-	220	220	220	220	220	220	220	220	220	220	220	220	220	220
თავდაპირველი ხარჯები (Initial Cost)	(14,877)**	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცვლილებები															
საბრუნავ კაპიტალში	-	22	3	3	3	3	3	3	3	4	4	4	4	4	4
FCFF*	(14,198)	1,015	1,038	1,070	1,103	1,138	1,175	1,213	1,253	1,295	1,339	1,385	1,434	1,484	1,537

შენიშვნა: * FCFF (Free cash flows to firm) – თავისუფალი საბრუნავი სახსრები ფირმისთვის; ** საბანკო სესხებისა და დაამფუძნებელთა შენატანების ჯამი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თავისუფალი სახსრების პროგნოზირებული ბრუნვის საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელობის მოლოდინია, რომ ინვესტიციების ამოღება განხორციელდება შემდეგ პერიოდში:

ინვესტიციების ამოღების ვადა	2016	2017	2018	2019	2020	...	2026	2027	2028	2029	2030
FCFF (აშშ დოლარი '000)	(14,198)	1,015	1,038	1,070	1,103	...	1,339	1,385	1,434	1,484	1,537
FCFF, ჯამური. (აშშ დოლარი '000)	(14,198)	(13,183)	(12,145)	(11,075)	(9,972)	...	(2,558)	(1,173)	261	1,745	3,282
დისკონტირების ფაქტორი (x)		1.000	0.888	0.789	0.701	...	0.345	0.306	0.272	0.242	0.215
დისკონტირებული FCFF (აშშ დოლარი '000)	(14,198)	1,015	922	845	774	...	462	425	390	359	330
დისკონტირებული FCFF, ჯამური. (აშშ დოლარი '000)	(14,198)	(13,183)	(12,261)	(11,416)	(10,642)	...	(7,174)	(6,749)	(6,359)	(6,000)	(5,669)
ზრდის განაკვეთი (%)		1.0%									
კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) (%)		12.6%*									
ინვესტიციების ამოღების ვადა (წ.წ.)		12.0									
ინვესტიციების დისკონტირებული ამოღების ვადა (წწ)		48.0									

შენიშვნა: * დაშვებების საფუძველზე: კაპიტალის ღირებულება 15% და სესხის ღირებულება 9.4%; თავისუფალი ფულადი სახსრების მოძრაობის ზრდა 2030 წლის შემდეგ ივარაუდება წლიურად 1%.

არაწამგებიანობის (ბრეიქივენ) ანალიზი

კომპანიის ხელმძღვანელობა მის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს ყოველდღიური საქმიანობით იმის უზრუნველყოფას, რომ ბიზნესს ჰქონდეს საკმარისი უსაფრთხოების მარჯა ბრეიქივენის დონის ზევით. ხელმძღვანელობა გეგმავს განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით როგორც ეს ასახულია ფინანსურ გეგმაში ქვემოთ:

ბრეიქივენის დონეები	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
გაყიდვები (აშშ დოლარი '000)	1,589	1,627	1,667	1,708	1,751	1,796	1,844	1,893	1,945	1,998	2,055	2,114	2,175	2,240
გაყიდვები: ბრეიქივენის დონე (აშშ დოლარი '000)	1,380	1,370	1,331	1,287	1,239	1,186	1,128	1,063	992	914	863	731	735	739
უსაფრთხოების მარჯა: გაყიდვები (აშშ დოლარი '000)	210	257	336	421	512	610	716	830	952	1,084	1,192	1,383	1,441	1,501

საშ. ფასები (აშშ დოლარი/მეგავატ საათი)	40.9	41.8	42.9	43.9	45.0	46.2	47.4	48.7	50.0	51.4	52.9	54.4	56.0	57.6
საშ. ფასები: ბრეიქივენი (აშშ დოლარი/მგვტ.სთ)	35.5	35.2	34.2	33.1	31.9	30.5	29.0	27.4	25.5	23.5	22.2	18.8	18.9	19.0

უსაფრთხოების მარჟა: ფასები (აშშ დოლარი/მეგავატ საათი)	5.4	6.6	8.6	10.8	13.2	15.7	18.4	21.3	24.5	27.9	30.7	35.6	37.1	38.6
სუფთა გამომუშავება (მგვტ.სთ)	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878	38,878
სუფთა გამომუშავება: ბრეიქივენი (მეგავატსაათი)	33,750	32,742	31,046	29,304	27,515	25,675	23,785	21,840	19,841	17,784	16,328	13,441	13,129	12,820
უსაფრთხოების მარჟა: სუფთა გამომუშავება (მგვტ.სთ)	5,128	6,136	7,832	9,574	11,364	13,203	15,094	17,038	19,038	21,095	22,551	25,438	25,750	26,059


სცენარების ანალიზი

კომპანიის ხელმძღვანელობა კომპანიის ბიზნეს-გეგმას შეიმუშავებს სამი სცენარის მიდგომით: პესიმისტური სცენარი, საბაზისო (მოსალოდნელი) სცენარი და ოპტიმისტური სცენარი. თითოეული სცენარი ემყარება დაშვებებს სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ინდუსტრიის მონაცემებსა და პროგნოზებს, ასევე ადგილობრივ და საერთაშორის სტატისტიკას, პროგნოზებსა და პროექციებს.


ელექტროენერჯის გამომუშავების პროგნოზი ეფუძნება ბაზვის ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავებას წარსულ პერიოდში და ასევე დეტალურ ყოველთვიურ პროგნოზირებად ტურბინის ხარჯს, წარმადობის კოეფიციენტსა და ტურბინის მუშაობის საათებს.

ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელია შემდეგი სცენარები ელექტროენერჯის ყოველთვიური გამომუშავებისთვის ბაზვის ჰიდროელექტროსადგურის მიერ 2017-2030 წლებში:

ტურბინის საშუალო თვიური ხარჯი (მ³/წ)



გენერაცია (გვტ)



ოპტიმიზირებული სცენარი - ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება

თვე	ტურბინის ხარჯი (მ³/წ)	ჰესის წარმადობა	გრაფიტაციული აჩქარება	სათავის სუფთა სიმალლე (მ)	სიმძლავრე (მეგავატი)	მუშა საათები თვეში	გამომუშავება (გვტ/სთ)
იანვ.	0.94	86%	9.81	200	1.57	744	1.17
თებერვ.	0.80	86%	9.81	200	1.35	672	0.90
მარ.	1.08	86%	9.81	200	1.82	744	1.35
აპრ.	5.58	86%	9.81	195	9.12	720	6.57
მაისი	6.00	86%	9.81	194	9.76	744	7.26
ივნ.	6.00	86%	9.81	194	9.76	720	7.03
ივლ.	4.08	86%	9.81	197	6.74	744	5.02
აგვ.	2.56	86%	9.81	199	4.27	744	3.18
სექტ.	2.11	86%	9.81	199	3.53	720	2.54
ოქტ.	2.75	86%	9.81	199	4.58	744	3.40
ნოემბ.	2.14	86%	9.81	199	3.57	720	2.57
დეკ.	1.61	86%	9.81	200	2.70	744	2.01
ჯამი	-	-	-	-	-	-	43.008

საბაზისო სცენარი - ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება

თვე	ტურბინის ხარჯი (მ³/წ)	ჰესის წარმადობა	გრაფიტაციული აჩქარება	სათავის სუფთა სიმალლე (მ)	სიმძლავრე (მეგავატი)	მუშა საათები თვეში	გამომუშავება (გვტ/სთ)
იანვ.	0.92	86%	9.81	200	1.54	744	1.15
თებერვ.	0.73	86%	9.81	200	1.23	672	0.82
მარ.	0.98	86%	9.81	200	1.65	744	1.23
აპრ.	4.89	86%	9.81	197	8.06	720	5.80

მაისი	6.00	86%	9.81	195	9.84	744	7.32
ივნ.	6.00	86%	9.81	195	9.84	720	7.08
ივლ.	3.78	86%	9.81	198	6.28	744	4.67
აგვ.	2.28	86%	9.81	199	3.81	744	2.84
სექტ.	1.88	86%	9.81	200	3.15	720	2.27
ოქტ.	2.38	86%	9.81	199	3.98	744	2.96
ნოემბ.	1.94	86%	9.81	199	3.25	720	2.34
დეკ.	1.45	86%	9.81	200	2.42	744	1.80
ჯამი	-	-	-	-	-	-	40.289

პესიმისტური სცენარი – ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება

თვე	ტურბინის ხარჯი (მ/წ)	ჰესის წარმადობა	გრაფიტაციული აჩქარება	სათავის სუფთა სიმალე (მ)	სიმძლავრე (მეგავატი)	მუშა საათები თვეში	გამომუშავება (გგვტ/სთ)
იანვ.	0.90	86%	9.81	200	1.51	744	1.13
თებერვ.	0.66	86%	9.81	200	1.11	672	0.75
მარ.	0.88	86%	9.81	200	1.48	744	1.10
აპრ.	4.19	86%	9.81	199	6.98	720	5.02
მაისი	6.00	86%	9.81	197	9.91	744	7.37
ივნ.	6.00	86%	9.81	197	9.91	720	7.14*
ივლ.	3.48	86%	9.81	199	5.81	744	4.32
აგვ.	2.00	86%	9.81	200	3.35	744	2.49
სექტ.	1.65	86%	9.81	200	2.77	720	1.99
ოქტ.	2.02	86%	9.81	200	3.39	744	2.52
ნოემბ.	1.75	86%	9.81	200	2.93	720	2.11
დეკ.	1.28	86%	9.81	200	2.15	744	1.60
ჯამი	-	-	-	-	-	-	37.545

- შენიშვნა: მაისში და ივნისში პესიმისტურ სცენარში შედარებით მეტი გამომუშავების არსებობა განპირობებულია იმით, რომ ოპტიმისტურ სცენარში მდინარეში არსებული მაღალი წყლის ხარჯები ამცირებს წყლის დაწნევას, რასაც გავლენა აქვს გამომუშავებულ სიმძლავრეზე.

ქვემოთ მოცემულია სამივე სცენარზე დაფუძნებული კომპანიის სამომავლო ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ხელმძღვანელობის მიერ პროგნოზირებული სცენარების მიხედვით იმ ძირითადი ფაქტორების გავლენით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე და განსაზღვროს მომავალი ფინანსური შედეგები.

მონაცემები ხელმძღვანელობის მიერ პროგნოზირებული კონსოლიდირებული სცენარის მიხედვით ძირითადი ფაქტორებისთვის არის შემდეგი:

ფაქტორი	სცენარი	მონაცემი
	ოპტიმისტური	41.5
ელექტროენერჯის წლიური სუფთა გამომუშავება (გგვტ/სთ)*	საბაზისო	38.9
	პესიმისტური	36.2
	ოპტიმისტური	6.5%
საექსპორტო ფასების ზრდა (წლიური %)	საბაზისო	5.0%
	პესიმისტური	3.5%
	ოპტიმისტური	5.0%
ადგილობრივი ფასებისა და ხარჯების ზრდა	საბაზისო	3.0%

(წლიური %)	პესიმისტური	0%
	დაბალი	2.20
გაცვლითი კურსი აშშ დოლარი / ლარი	საბაზისო	2.50
	მაღალი	3.00
	ოპტიმისტური	1.0%
3-თვიანი აშშ დოლარი LIBOR განაკვეთი (წლიური %.)	საბაზისო	1.4%
	პესიმისტური	1.4%

სულ	74	36	(52%)	31	14

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გაიზარდა 17%-ით, GEL 0.22 მილიონამდე (US\$ 0.08 მილიონამდე).

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	GEL ათასი		ცვლ, % ყოველწლიურად	US\$ ათასი	
	31.12.2015	31.12.2016		31.12.2015	31.12.2016
კრედიტორული დავალიანება ქონებისთვის, საწარმოსა და მოწყობილობებისთვის	180	199	11%	75	75
სხვა კრედიტორული დავალიანება და დარიცხული თანხები	5	18	260%	2	7
სულ	185	217	17%	77	82

გადასახდელი ფინანსური ვალდებულებები 2016 წლის ბოლოსთვის შეადგინა „თიბისი ბანკის“ ორმა სესხმა, მთლიანი ღირებულებით US\$ 6.5 მილიონი. საპროცენტო განაკვეთი არის - 3M-Libor+8.0pp და 3M-Libor+8.5pp ხოლო გადახდის ვადა არის 2026 წლის ბოლოს.

ფინანსური დავალიანება	GEL ათასი		ცვლ, % ყოველწლიურად	US\$ ათასი	
	31.12.2015	31.12.2016		31.12.2015	31.12.2016
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან (არაუზრუნველყოფილი)	9,515	-	(100%)	3,973	-
ბანკის სესხები (უზრუნველყოფილი)	16,848	17,144	2%	7,035	6,477
სულ ფინანსური დავალიანება	26,363	17,144	(35%)	11,008	6,477

	GEL ათასი		ცვლ. % ყოველწლიურად	US\$ ათასი	
	31.12.2015	31.12.2016		31.12.2015	31.12.2016
ფინანსური დავალიანება					
მიმდინარე ნაწილი	1,634	998	(39%)	682	377
გრძელვადიანი ნაწილი	24,729	16,146	(35%)	10,326	6,100
სულ ფინანსური დავალიანება	26,363	17,144	(35%)	11,008	6,477

კომპანიის სესხების 100% დენომინირებულია აშშ დოლარში. კომპანია გეგმავს მისი შემოსავლების დენომინაციის შესაბამისობაში მოყვანას თავის ხარჯებთან, რათა შემცირდეს გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მცდელობა არის ექსპორტის გაზრდა.

კაპიტალი	GEL ათასი		ცვლ. % ყოველწლიურად	US\$ ათასი	
	31.12.2015	31.12.2016		31.12.2015	31.12.2016
სააქციო კაპიტალი	12,313	22,172	80%	7,110	11,377
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	2,460	-	(100%)	1,281	0
უცხოურ ვალუტაში გადაყვანის სარეზერვო ანგარიში	-	-	nm	(591)	(952)
გაუნაწილებელი მოგება	(16,794)	(16,586)	nm	(8,644)	(8,314)
სულ კაპიტალი	(2,021)	5,586	nm	(844)	2,110

კაპიტალი მთლიანად შეადგენს GEL 5.59 მილიონს (US\$ 2.11 მილიონს) 2016 წლის ბოლოსთვის, ერთი წლის წინ არსებულ მინუს US\$ 2.02 მილიონთან (US\$ 0.84 მილიონთან) შედარებით, საწესდებო კაპიტალის 80%-იანი ზრდისა და პარტნიორების დამატებითი მხარდაჭერის წყალობით პარტნიორების სესხების საწესდებო კაპიტალში კონვერტირებით 2016 წლის განმავლობაში.

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის მონაცემები

(თანხები მოცემულია ათას ლარში და ათას აშშ დოლარში)*

შენიშვნა: *ფინანსური მონაცემები ქართულ ლარში 2015 და 2016 წლების აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშებიდან გადაყვანილია აშშ დოლარში „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ დადგენილი აშშ დოლარი/ლართან საშუალო წლიური გაცვლითი კურსით 2.2702 - 2015 წელს და 2.3667 – 2016 წელს შესაბამისად.

ფულადი სახსრების შემოდინება ოპერაციებიდან მთლიანად შეადგენს GEL 1.08 მილიონს (US\$ 0.46 მილიონს), 2015 წელს არსებულ ფულადი სახსრების გადინებასთან შედარებით, რომელიც შეადგენდა GEL 4.12 მილიონს (US\$ 1.82 მილიონის), გამომუშავებული ელექტროენერჯის გაზრდილი გაყიდვების წყალობით.

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	GEL ათასი		ცვლ, % ყოველწლიურად	US\$ ათასი	
	2015	2016		2015	2016
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	782	3,960	406%	344	1,673
მომწოდებლებისთვის, თანამშრომლებისთვის გადახდილი ფული (მათ შორის გადასახადები, მოგების გარდა)	(2,862)	(1,216)	(58%)	(1,261)	(514)
დღგ-ს ანაზღაურება	-	800	nm	-	338
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	(2,080)	3,544	nm	(917)	1,497
გადახდილი პროცენტი	(2,041)	(2,461)	21%	(899)	(1,040)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული	(4,121)	1,083	nm	(1,816)	457

ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მთლიანად შეადგინა GEL 0.27 მილიონი (US\$ 0.11 მილიონს) 95%-მდე შემცირებით, ქონებასა და მოწყობილობებზე შედარებით დაბალი დანახარჯების, კომპანიის კაპიტალური დანახარჯების პროგრამის დასრულების და 2015 წელს ბაზვის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში სრულად გაშვების შედეგად.

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	GEL ათასი		ცვლ, % ყოველწლიურად	US\$ ათასი	
	2015	2016		2015	2016
შესყიდვები და ქონებისა და მოწყობილობების განვითარება	(5,044)	(325)	(94%)	(2,222)	(137)
მოწყობილობების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი	-	57	nm	-	24
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული	(5,044)	(268)	(95%)	(2,222)	(113)

ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობის შედეგად მთლიანად შეადგენს GEL 0.68 მილიონს (US\$ 0.29 მილიონს), 2015 წელს GEL 9.87 მილიონის (US\$ 4.35 მილიონის) ოდენობით ფულადი სახსრების შედინებასთან შედარებით, უფრო ნაკლები ახალი სესხების გამო და კომპანიის კაპიტალური დანახარჯების პროგრამის დასრულების შედეგად.

ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	GEL ათასი		ცვლ, % ყოველწლიურად	US\$ ათასი	
	2015	2016		2015	2016
მიღებული სესხები	28,684	17,889	(38%)	12,635	7,559
გადახდილი სესხები	(18,819)	(18,566)	(1%)	(8,290)	(7,845)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული	9,865	(677)	nm	4,345	(286)

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

2016 წელს კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტები შესაბამისობაში იყო ამ სფეროში არსებულ დონეებთან, რაც მიუთითებს კომპანიის სათანადო ფინანსურ მდგომარეობაზე.

კოეფიციენტები მისაღებ ზღვრებში იყო სფეროში არსებული სხვა დონეებთან შედარებით და კიდევ უფრო გაუმჯობესდა 2016 წელს.

კოეფიციენტი	ბაზვი (2016)	Anadolu Energy (ფარაენის ჰესი, ასლანჩივის ჰესი)	GGU (9M16)	GWP ->> შვილობილი GGU (2015)	ბრამპვისი 1 (2015)	ბრამპვისი 2 (2015)
დადგმული სიმძლ. (მგვტ.)	10.0	90 (Geo), 120 (Turkey)	150.0	149.1	113.0	110.0
მიმდ. კოეფიციენტი (Current Ratio) (x)	1.3x	n/a	0.8x	0.7x	2.1x	1.1x
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio) (x)	1.1x	n/a	0.7x	0.6x	2.1x	1.0x
სესხი/კაპიტალი (x)	2.9x	37.9x	0.3x	0.3x	0.0x	0.2x
სესხი/EBITDA (x)	6.6x	13.4x	1.9x	1.2x	0.0x	0.5x
EBITDA/პროცენტი	1.1x	0.5x	5.6x	2.8x	nm	3.4x
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	0.8x	0.3x	4.0x	2.1x	nm	2.4x
DSCR	1.0x	1.2x	1.3x	0.8x	nm	2.1x
EBITDA მარჟა (%)	65%	52%	49%	55%	81%	87%
სესხის კოეფიციენტი (%)	76%	97%	29%	36%	19%	42%
ROA	(9.5%)	(11.0%)	5.4%	5.5%	16.7%	9.7%
ROE	(126.3%)	(439.3%)	7.7%	8.5%	20.5%	16.7%

შენიშვნა: * საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარის (პარტნიორის) სესხზე არ არის გათვალისწინებული კოეფიციენტის გამოთვლისას. EBITDA = შემოსავალი პროცენტის, დაბეგვრის და ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯების გარეშე.

სამართლებრივი ჩარჩო

ჰიდროენერგეტიკის სექტორის მარეგულირებელი ჩარჩო

„ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ბოლო ცვლილებამ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს შესაძლებლობა მისცა შეიძინოს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ჰიდროელექტროენერჯია გრძელვადიანი წინასწარ ფიქსირებული ტარიფით სამთვიან ზამთრის პერიოდში. ყველა ახლად აშენებული ჰიდროელექტროსადგური და მცირე სიმძლავრის (13 მგვტ-ზე ნაკლები) ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის ბახვის ჰიდროელექტროსადგური, ძირითადად დერეგულირებულია ისე, რომ არ ხვდება ფასებისა და ლიცენზირების შესახებ სემეკის დებულების მოწესრიგების სფეროში. გარდა ამისა, როგორც მცირე სიმძლავრის დერეგულირებულ ჰიდროელექტროსადგურს, ბახვის ჰიდროელექტროსადგურს უფლება აქვს ელექტროენერჯია გაყიდოს პირდაპირ საცალო მომხმარებელზე.

ჰიდროელექტროსადგურის მდებარეობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. კომპანიამ მოიპოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო პასუხისმგებელია სანებართვო მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე, ბახვიჰესის მუშაობა, ექვემდებარება ზემოაღნიშნული სამინისტროს მონიტორინგს.

შპს ბახვი ჰაიდრო პაუერ ექვემდებარება ზამთარში ელექტროენერჯის ექსპორტის მხოლოდ ერთ შეზღუდვას. მეორეს მხრივ, კომპანიას 2023 წლამდე აქვს ნოემბერში, მარტში და აპრილში გამომუშავებული 100% ელექტროენერჯის ესკო-სთვის მიყიდვის გარანტირებული ვარიანტი, ერთი კილოვატსაათი 0.055 აშშ დოლარად.

საგადასახადო კუთხით, კომპანია ელექტროენერჯის და გარანტირებული სიმძლავრის მიწოდებისას კომპანია საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ც“ ქვეპუნქტით გათავისუფლებულია დღგ-ს გადახდისგან, გარდა მომხმარებლისთვის განხორციელებული მიწოდებისა. კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ წლებში, როდესაც, როდესაც მოხდება სუფთა მოგების რეინვესტიცია და არ განაწილდება მფლობელებს შორის დივიდენდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების სახით). კომპანია ასევე აკავებს საშემოსავლო გადასახადს თანამშრომელთა ხელფასებზე 20%-ის ოდენობით.

ანგარიშვალდებული კომპანიებისთვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები

ანგარიშგების მოთხოვნები

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების შემდეგ კომპანია გახდება ანგარიშვალდებული, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონი) გათვალისწინებული მნიშვნელობის ფარგლებში, ანუ კომპანია ანგარიშვალდებული ხდება მას შემდეგ, რაც ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებას გააკეთებს ან კომპანიის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაიშვება საფონდო ბირჟაზე.

„ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონი ანგარიშვალდებულ კომპანიას ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს აკისრებს. ანგარიშვალდებული კომპანია ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს გაუზიაროს წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მიმდინარეობს საქართველოს საფონდო ბირჟაზე, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ასევე უნდა მიეწოდოს საქართველოს საფონდო ბირჟას. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებული კომპანიებისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ/დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების დამტკიცება

„ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონი არეგულირებს დაინტერესებულ მხარესთან გარიგებებს და ადგენს გარიგებების დამტკიცებისა და გამჭვირვალობის სხვადასხვა მოთხოვნებს. ქვემოთ მოყვანილი შემთხვევების გარდა, ეს მოთხოვნები არ ვრცელდება შემდეგ მხარეებს შორის დადებულ გარიგებებზე: (i) კომპანია და მის სრულ საკუთრებაში არსებული შვილობილი; და (ii) კომპანია და მისი 100% წილის მფლობელი.

თუ ანგარიშვალდებული კომპანია გარიგებას დადებს და მისი ხელმძღვანელობის წევრს ან მისი ხმის უფლების მქონე აქციების 20 ან მეტი პროცენტის მფლობელს (ან ნებისმიერ დაკავშირებულ პირს) (ა) ურთიერთობა აქვს გარიგების მეორე მხარესთან (მაგალითად, პირდაპირ ან არაპირდაპირ არის მისი 20 პროცენტი აქციების მფლობელი ან მისი სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი) ან (ბ) სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან, პირი ითვლება „დაინტერესებულ მხარედ“, „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონის მიზნებისთვის. ზოგადად, დაინტერესებულმა მხარემ სამეთვალყურეო საბჭოს და, გარიგების ღირებულების მიხედვით, პარტნიორთა საერთო კრებას, უნდა შეატყობინოს დადებულ გარიგებაში ამ მხარის ინტერესის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭომ ან პარტნიორთა საერთო კრებამ (გარემოებიდან გამომდინარე) უნდა დაამტკიცოს გარიგება. ანგარიშვალდებული კომპანიები ვალდებულნი არიან დაინტერესებულ მხარესთან გარიგებების შესახებ ინფორმაცია წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს და გამოაქვეყნონ ასეთი ტრანზაქციების (მათ შორის, მთლიან საკუთრებაში არსებულ

შვილობილ კომპანიებთან და 100 პროცენტის მფლობელ პარტნიორებთან დადებული ტრანზაქციების) შესახებ ინფორმაცია.

თუ გარიგება იდება ზემოთ აღწერილი წესების დარღვევით, ანგარიშვალდებული კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი ან ანგარიშვალდებულ კომპანიაში აქციების 5 ან მეტი პროცენტის მფლობელი პარტნიორი (პარტნიორთა ჯგუფი) უფლებამოსილია მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება და გარიგებიდან მიღებული ნებისმიერი სარგებლის უკან დაბრუნება. მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ ანგარიშვალდებულმა კომპანიამ ზარალი განიცადა დაინტერესებულ მხარესთან გარიგების შედეგად და რომ არა ამგვარი დაინტერესებული მხარე, გარიგება დაიდებოდა უკეთესი პირობებით. გარიგების გაუქმების მოთხოვნა შესაძლებელია მისი დადების დღიდან 18 თვის განმავლობაში.

პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიამ შეიმუშავა ელექტროენერჯის გაყიდვების, შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და ავარიების მართვის (ხარისხის კონტროლის) პოლიტიკა და პროცედურები.

ელექტროენერჯის გაყიდვების პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად, 2023 წლამდე ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) კომპანიას შეუძლია ელექტროენერჯია მიჰყიდოს მხოლოდ ესკო-ს წინასწარ ფიქსირებულ ფასად, ანუ ერთი კილოვატსაათი 0.055 აშშ დოლარად. წინასწარ ფიქსირებული ფასი ასევე მოქმედებს ნოემბრის, მარტისა და აპრილის თვეებში, როდესაც კომპანიას საშუალება აქვს ელექტროენერჯია თავისუფლად მიჰყიდოს როგორც ესკო-ს, ასევე ნებისმიერ სხვა ადგილობრივ მყიდველს ნებისმიერ ფასად.

ამ თვალსაზრისით, კომპანიამ განსაზღვრა ელექტროენერჯის გაყიდვის პირდაპირი და გამჭვირვალე პროცედურები, რომელიც უფლებამოსილ თანამშრომლებს ავალდებულებს ბაზრის ოპტიმალურ ფასებში კონტრაქტების გაფორმებას. თუმცა, იმ პერიოდში, როდესაც საბაზრო ფასები სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ შესყიდვების ფასებზე დაბალია, კომპანია იყენებს ელექტროენერჯის ესკო-სთვის მიყიდვის ვარიანტს.

შრომის უსაფრთხოების სტანდარტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შრომის ინსპექტირების სტანდარტების ფორმირება დაიწყო. ამჟამად ინსპექტირება ტარდება იურიდიული პირის მოთხოვნით. უახლოეს მომავალში სამინისტრო გეგმავს

პასუხისმგებლობის აღებას იმის მონიტორინგზე, თუ რამდენად შეესაბამებიან იურიდიული პირები შრომის ინსპექტირების სტანდარტებს და ჩაატაროს ასეთი ინსპექტირება საკუთარი შეხედულებისამებრ.

კომპანიამ შეიმუშავა გარკვეული რაოდენობის შიდა პროცედურები და პოლიტიკა, რათა ის შეესაბამებოდეს შრომის ინსპექციის სტანდარტებს:

- ახალი თანამშრომლის სატრენინგო პროგრამა დაკისრებული მოვალეობების მიხედვით;
- კომპანია ყოველწლიურად ორგანიზებას უკეთებს ხანძარსაწინააღმდეგო და პირველადი სამედიცინო დახმარების პროგრამებს იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან შემთხვევის აღმოფხვრასა და კომპანიის სხვა ტექნიკურ პროცესებში;
- კვალიფიკაციის შემოწმება წელიწადში ერთხელ;
- თანამშრომლების გარკვეული მოვალეობებისთვის გათვალისწინებული კონკრეტული სახელმძღვანელოებით და ნებისმიერი სხვა დამატებითი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- პერიოდული ჯანმრთელობის შემოწმების პროცედურების განხორციელება;
- სხვადასხვა განყოფილებების საჭირო უნიფორმებით და უსაფრთხოების სხვა დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფა;
- კვირაში ორჯერ (ან უფრო ხშირად საჭიროების შემთხვევაში) თანამშრომლის ან თანამშრომელთა ჯგუფის მიერ ორგანიზაციული ან ტექნიკური უსაფრთხოების წესების შესრულების მონიტორინგი ან შემოწმება;
- ჰიდროელექტროსადგურის ობიექტებზე ვიზიტების დაგეგმვა და ხარვეზების აღმოფხვრა;
- ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ცეცხლსაქრობის დაუყოვნებლივ შეძენა ან ხელახლა დამუხტვა;
- ელექტრო დამცავი მოწყობილობების მონიტორინგი და შემოწმება ენერგომომარაგების ქსელში.

ავარიების მართვა

ავარიების მართვა კომპანიისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც სწრაფად და ეფექტურად უნდა იყოს განხილული.

საქმიანობის დაწყებიდან დღემდე კომპანია აუმჯობესებს ავარიების მართვის პრაქტიკას დროისა და ხარისხის თვალსაზრისით. ავარიების მართვის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერია მარტივი, მკაფიო და ეფექტური პროცედურები. ნებისმიერი ტიპის ავარიების რაოდენობის შემცირების მიზნით, კომპანია ცდილობს:

- ჩაატაროს ხარისხიანი სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც ავარიების ალბათობა შემცირდება;
- შეამციროს ავარიების აღმოფხვრისთვის საჭირო დრო და შედეგად მინიმუმამდე დაიყვანოს ქსელის დაზიანებით გამოწვეული შემოსავლების დანაკარგები.

კომპანიამ ასევე დაიწყო ინციდენტების სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად. ჰესის უსაფრთხოების ინჟინერი პასუხისმგებელია ჟურნალის შევსებასა და ჰესზე ნებისმიერი ინციდენტის (ხანძარი, შენობის ნებისმიერი ნაწილის დაზიანება, წყალდიდობა, მეწყერი, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ბუნებრივი მოვლენა, რასაც მოჰყვება სამუშაო გარემოში საშიში ცვლილებები, დაზიანებები და ა.შ.) ასახვაზე. ინციდენტების რეგისტრაციის შემდეგ, კომპანია შეიმუშავებს დამატებით რეკომენდაციებს, მომავალში მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

კომპანიამ გააუმჯობესა ჰიდროელექტრო სადგურის საოპერაციო მართვის ეფექტურობა, რაც ამცირებს ავარიების ალბათობას.

რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები ეხება ფინანსურ რისკებს, საოპერაციო რისკებს, სამართლებრივ და სხვა რისკებს. ფინანსური რისკები მოიცავს საბაზრო რისკებს (მათ შორის სავალუტო რისკებსა და ფასებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს) და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების ზემოქმედება დარჩეს ამ ლიმიტების ფარგლებში. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო მოქმედებას, რაც მინიმუმამდე შეამცირებს საოპერაციო და სამართლებრივ რისკებს.

რისკები	კომპანიის რისკების მართვის ღონისძიებები
	კომპანიის სესხების 100% დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარში), ხოლო

<p><i>ვალუტის კურსის რისკები</i></p>	<p>შემოსავლები ნაწილობრივ ადგილობრივ ვალუტაშია. სავალუტო რისკებთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს სესხის რისკის მოცულობაზე ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. კომპანია გეგმავს გააგრძელოს შემოსავლების დენომინაციის შესაბამისობაში მოყვანა ხარჯებთან, რათა შეამციროს გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება. ამ მიმართულებით კიდევ სხვა ღონისძიებათაგან ერთ-ერთია ექსპორტის გაზრდა.</p>
<p><i>ტრანსსასაზღვრო რისკები</i></p> <p><i>ვაჭრობის</i></p>	<p>ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის რისკი უკავშირდება ქართული ან თურქული მხარის საზღვარზე ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტას, სისტემაში ქსელის ოპერატორების მიერ აღიარებული საგანგებო სიტუაციების გამო საზღვარგარეთ ვაჭრობის შეჩერებას, თურქეთში მოთხოვნის შემცირებას ან თურქეთში საბაზრო ფასების ვარდნას, ბუნებრივ კატასტროფებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტმა განსაზღვრა კონტროლისძიებების შემდეგი სტრუქტურა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტროენერჯის მიწოდების ან საექსპორტო ვაჭრობის შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიამ უზრუნველყო, რომ 100% წარმოებულ ელექტროენერჯის გაყიდის ადგილობრივ კლიენტებზე (ენერგო-პრო) შესაბამის თვეებში წინასწარ შეთანხმებულ ფასად; • კომპანიამ ასევე უზრუნველყო ჰესის სრულად დაზღვევა, საქმიანობის შეწყვეტის რისკის ჩათვლით.
	<p>საქართველო ავითარებს თავის სამართლებრივ</p>

<p><i>საკანონმდებლო რისკები</i></p>	<p>სტრუქტურას, რომლის მიზანიც არის მისი ევროკავშირის სამართლებრივ სტრუქტურასთან ჰარმონიზება. გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და უსაფრთხოების სტანდარტების შემდგომმა განვითარებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა, რადგან ბახვი-ჰესის დაგეგმვა და მშენებლობა დააფინანსა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა KFW, კომპანიამ თავდაპირველად თავისი საქმიანობა დაიწყო KFW-ის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვით. აქედან გამომდინარე, ახალი რეგულაციების შემოღებას არ უნდა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.</p>
<p><i>ლიკვიდურობის რისკი</i></p>	<p>ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს რისკს, როდესაც კომპანია სირთულეებს აწყდება ფინანსური ვალდებულებების შესრულების დროს. კომპანიაში ჩნდება არსებული ფულადი რესურსების ყოველდღიური მოთხოვნა. მენეჯმენტი მონიტორინგს უწევს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და კლიენტების მიერ წინასწარ გადახდილი თანხებისგან.</p>
<p><i>გარემოსდაცვითი რისკი</i></p>	<p>კომპანია იყენებს უსაფრთხოების ყველა სტანდარტულ პროცედურას, რათა ეს რისკი ყოველდღიურად მართოს თავის საქმიანობაში. რადგან ბახვი ჰესის დაგეგმვა და მშენებლობა დააფინანსა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტმა KFW, კომპანიამ თავდაპირველად თავისი საქმიანობა დაიწყო KFW-ის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვით. უფრო მეტიც, კომპანია მუშაობს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე, რომელიც მიზნად ისახავს ნებისმიერი შესაძლო გარემოსდაცვითი რისკის</p>

ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მიმოხილვა

კომპანიას აქვს ხელმძღვანელობის სამდონიანი სტრუქტურა: პარტნიორთა კრება - საერთო კრება, რომელიც წარმოადგენს კორპორატიული მმართველობის უმაღლეს ორგანოს; სამეთვალყურეო საბჭო; და დირექტორი, რომელიც პირდაპირ პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე და რომელსაც მინიჭებული აქვს კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

პარტნიორთა გადაწყვეტილებები

კომპანიის ნორმატიული დოკუმენტების (წესდება) შესაბამისად, ყველა შემდეგი საკითხი შედის პარტნიორთა საერთო კრების კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროებს კრების გადაწყვეტილებას:

- კომპანიის ნორმატიულ დოკუმენტებში (წესდება) ცვლილებების შეტანა;
- კომპანიის კაპიტალის გაზრდა/შემცირება;
- ახალი ტიპის ბიზნესის დაწყება;
- ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- დივიდენდების გაცემა;
- კომპანიის ყოველწლიური შედეგების დამტკიცება;
- კომპანიის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია;
- კომპანიის გარე აუდიტორის დანიშვნა;
- ხელმძღვანელ პირთათვის პენსიის მიცემის პრინციპის განსაზღვრა ;
- კომპანიის საქმიანობის და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა, სხვადასხვა სახის წარმოების დაწყება ან შეჩერება;
- დირექტორის ან რომელიმე პარტნიორის წინააღმდეგ რაიმე სამართალწარმოების დაწყება, ამ პროცესში წარმომადგენლის დანიშვნა;

- ინვესტიციების განხორციელება, რომლის ღირებულებაც ერთი წლის განმავლობაში ცალკე ან მთლიანად აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50 პროცენტს;
- კომპანიის მიერ ვალდებულებების აღება, რომლის ღირებულებაც ცალკე ან მთლიანად აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50 პროცენტს;
- იმ ვალდებულებების უზრუნველყოფა, რომლებიც არ ეხება ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50 პროცენტს;
- კომპანიის პროკურისტების დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა და ლიკვიდაცია;
- დირექტორების დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, დირექტორებთან ხელშეკრულების დადება და მათი შეწყვეტა, მათი ანგარიშების დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის წესდებაში ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო, როგორც კომპანიის მმართველობითი ორგანო. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონება, კერძოდ, ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და საქონლის მდგომარეობა, აღნიშნული დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეულ წევრებს ან დანიშნულ ექსპერტებს. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია საერთო კრების მოწვევაზე, კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე. სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებებს და პარტნიორთა საერთო კრებისათვის გაგზავნილ ანგარიშებს.

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭო არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგზე:

- ფასიანი ქაღალდების გამოშვება, აქციების საჯაროდ შეთავაზება და სხვა ფასიანი ქაღალდების ვაჭრობისთვის დაშვება საფონდო ბირჟაზე;
- აუდიტის კომიტეტის ჩამოყალიბება და ლიკვიდაცია.

საკითხები, რომელიც პარტნიორთა კრების ან დირექტორის კომპეტენციას მიეკუთვნება, არ საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.

დირექტორი

დირექტორს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და წარმომადგენლობა, კომპანიის წესდების შესაბამისად.

დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის საქმიანობას გულმოდგინედ და ერთგულად, წესდების პირობების, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და შესაბამისი დასაქმების (მომსახურების) ხელშეკრულების შესაბამისად.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მთავარი ხელმძღვანელი პირები:

სახელი და გვარი	მიმდინარე თანამდებობა	დასაქმების ვადა
ბ-ნი ვახტანგ ღონღაძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	2011 წლიდან
ბ-ნი ზვიად ჩუბინიძე	დირექტორი და მთავარი საოპერაციო დირექტორი	2014 წლიდან
ბ-ნი ივანე ლომაძე	ფინანსური დირექტორი	2014 წლიდან

ბ-ნი ვახტანგ ღონღაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბ-ნი ღონღაძე შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ გუნდს შეუერთდა 2011 წლის მაისში, „სილქ როუდ ჯგუფის“ მიერ კომპანიის შეძენის შემდეგ. მანამდე „სილქ როუდ ჯგუფის“ სავაჭრო და სატრანსპორტო ბიზნეს მიმართულების იურიდიული დირექტორის თანამდებობა ეკავა. ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალი იურისტის წარჩინების დიპლომს. 2017 წლის 14 მარტიდან ბატონი ღონღაძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა.

უფროსი მენეჯერები

ზვიად ჩუბინიძე - დირექტორი და მთავარი საოპერაციო დირექტორი

ბ-ნი ჩუბინიძე შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ გუნდს შეუერთდა 2014 წლის აპრილში. მანამდე ეკავა სხვადასხვა მენეჯერული პოზიციები „ენერჯო პრო ჯორჯიაში“ (2009-2011 წლებში - იორი კასკადის უფროსი, რომელიც მოიცავდა: საცხენისის ჰესს (14 მგვტ), სიონი ჰესს (9 მგვტ), მარტყოფი ჰესს (4 მგვტ); 2011-2012 წლებში - ორთაჭალა ჰესის (18 მგვტ) უფროსი; 2012-2014 წლებში ზემო ავჭალა ჰესის (ზაჰესი) (36 მგვტ) უფროსი). ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის წარჩინების დიპლომს (1997-

2001წწ) და იგივე უნივერსიტეტის ასპირანტის ხარისხს ჰიდროელექტროსადგურისა და სამრეწველო ინჟინერიაში.

ივანე ლომაძე - ფინანსური დირექტორი

ბ-ნი ლომაძე შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ გუნდს შეუერთდა 2014 წელს მთავარი ფინანსური დირექტორის სახით. მას აქვს 7 წლიანი გამოცდილება ფინანსურ მენეჯმენტში.

ბ-ნი ლომაძე თბილისის მენეჯმენტის ევროპული სკოლის კურსდამთავრებულია. ის თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას.

ქ-ნი თამარ კვინტრაძე - იურიდიული დირექტორი

ქ-ნი კვინტრაძე შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ გუნდს შეუერთდა 2013 წლის ოქტომბერში. მანამდე მუშაობდა იურისტად შემდეგ კომპანიებში: „გეწაძე და პატიეშვილის იურიდიული ფირმა“, სს „ავტოგაზი“, „სტუდია 24 - არქიტექტურა და ინჟინერია“, და სხვ. ფლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ბიზნეს სამართალში.

თანამშრომლები

ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 39 თანამშრომელი.

კომპანია მიზნად ისახავს დანერგოს კადრების აყვანის, მომზადებისა და განვითარების საუკეთესო პრაქტიკა. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების გატარება ხდება პროგრამების მეშვეობით, რომლებიც ინტეგრირებულია ბიზნესის სხვა სფეროებში, მათ შორის ოპერაციებში, ადამიანურ რესურსებში და ხარისხში. კომპანია უზრუნველყოფს ყველა თავის თანამშრომელს ჯანმრთელობის დაზღვევით. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა სასწავლო პროგრამა, რომელიც გამიზნულია ორგანიზაციაში სხვადასხვა სფეროებში მომუშავე თანამშრომლებისათვის.

შრომის ანაზღაურება და ბონუსები

კომპანიის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება მოიცავს ფიქსირებულ ყოველთვიურ ხელფასს და ყოველწლიურ ბონუსს, რაც დამოკიდებულია კომპანიაში დაკავებულ

პოზიციაზე და საქმიანობის შეფასებაზე. საერთო ჯამში, კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს მაღალ კონკურენტულ ანაზღაურებას და ბონუსებს.

ბონუსების სქემა: უფროსი მენეჯერების ბონუსების სქემას აქვს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კომპონენტი და ბონუსების გადახდა ხდება ყოველწლიურად. ბონუსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის დირექტორი და ამტკიცებს პარტნიორი.

შედეგები:

- კომპანია თავის ხარჯით უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელს ჯანმრთელობის დაზღვევით;
- თანამშრომლები სარგებლობენ მობილური და ინტერნეტ კომუნიკაციის სპეციალური ტარიფებით; გარდა ამისა, წამყვანი მენეჯერების შემთხვევაში, კომპანია ფარავს საკომუნიკაციო (მობილურ და ინტერნეტ) საფასურს და ხარჯებს გარკვეული თანხის ოდენობით;
- ხშირად ტარდება ტრენინგები თანამშრომლების პროფესიული განვითარებისთვის რასაც აფინანსებს კომპანია.

სამართალწარმოება

წინამდებარე პროსპექტის პერიოდისთვის კომპანიის მენეჯმენტის არც ერთი წევრი მინიმუმ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში:

- ყოფილა ბრალდებული თაღლითურ ქმედებასთან დაკავშირებით;
- ასრულებდა აღმასრულებელ ფუნქციებს რომელიმე კომპანიის უფროსი მენეჯერის ან ადმინისტრაციული მმართველი ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრის რანგში ამ კომპანიის გაკოტრების, გაკოტრების მართვის ან ლიკვიდაციის დროს ან მანამდე;
- ყოფილა რომელიმე კანონით განსაზღვრული ან მარეგულირებელი ორგანოს (მათ შორის სპეციალურად განსაზღვრული პროფესიული ორგანოების) მიერ ოფიციალური საჯარო დადანაშაულების ან/და სანქციის დაკისრების სუბიექტი, ან სასამართლოს მიერ კომპანიის ადმინისტრაციული, მმართველი ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრობის, ან კომპანიის მმართველობიდან ან მისი საქმიანობის წარმოების უფლებამოსილებიდან დისკვალიფიცირების ობიექტი.

გარიგებები კომპანიის პარტნიორებისა და დაკავშირებული პირების მონაწილეობით

პარტნიორები

კომპანიას მთლიანად ფლობს და აკონტროლებს „სილქ როუდ ჯგუფი“, კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონების ერთ-ერთ წამყვანი კერძო საინვესტიციო ჯგუფი, რომელიც ჩართულია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ტრანსპორტირების, ვაჭრობის, უძრავი ქონების, საცალო რეალიზაციის, სატელეკომუნიკაციო და საბანკო სექტორებში. „სილქ როუდ ჯგუფი“ არის შპს "ბახვი ჰაიდრო პაუერის" ერთადერთი „მშობელი“ კომპანია და ირიბად ფლობს თავისი კაპიტალის 100%-ს მთლიანად საკუთრებაში არსებული ან კონტროლირებადი შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

გარიგებები დაკავშირებული პირების მონაწილეობით

ზოგადად, მხარეები განიხილება დაკავშირებულ მხარეებად, თუ ერთ მხარეს შეუძლია აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური და საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება მიმართულია ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

მას შემდეგ რაც განხორციელდება ობლიგაციების საჯარო შეთავაზება, კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“ გათვალისწინებული მნიშვნელობით. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით“ დგინდება კონკრეტული დამტკიცების და გამჭვირვალობის მოთხოვნები იმ ტრანზაქციებისთვის, სადაც ანგარიშვალდებული კომპანიის მმართველი ორგანიზების წევრები და მისი წილის 20%-ის ან მეტის პირდაპირი თუ ირიბი მფლობელები ითვლებიან დაინტერესებულ მხარეებად (ასეთი შემთხვევები განხილულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში“). „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის“ თანახმად ტრანზაქცია რომელშიც მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ ან პარტნიორთა საერთო კრებამ. ხოლო ის ტრანზაქციები, რომლებიც შეადგენს ან აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 10%-ს, უნდა დამტკიცდეს პარტნიორთა საერთო კრების მიერ. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ ტრანზაქციებზე რომლებიც ხორციელდება 100%-ით შვილობილ კომპანიებთან და 100%-იან პარტნიორებთან. კომპანიას განზრახული აქვს განახორციელოს ყოველგვარი ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან საბაზრო პირობებითა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების მოცულობა, პერიოდის დასასრულს არსებული დაუფარავი ნაშთი, და დაკავშირებული მხარის ხარჯები და შემოსავალი მოცემული პერიოდებისთვის ათას ქართულ ლარში.

	ლარი		ცვლილება, ყოველწლიური %	აშშ დოლარი	
	ათასი			ათასი*	
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	2015	2016		2015	2016
მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები	9,514	-	(100%)	3,972	-
საპროცენტო ხარჯები	1,138	705	(38%)	501	298
სულ	10,652	705	(93%)	4,474	298

შენიშვნა: *2016 და 2015 წლების შემოწმებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან ამოღებული ფინანსური მონაცემები ქართულ ლარში, გადაყვანილი აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოს განსაზღვრული ოფიციალური კურსით, რაც 2015 წლისთვის შეადგენს 2.3949, ხოლო 2016 წლისთვის - 2.6468 და საშუალო წლიური გაცვლითი კურსით, რაც 2015 წლისთვის შეადგენს 2.2702, ხოლო 2016 წლისთვის 2.3667

მშობელმა კომპანიამ („სილქ როუდ ენერჯი“) სესხები გასცა საშუალო კომერციულ საპროცენტო განაკვეთთან შედარებული განაკვეთით. მშობელი კომპანიის მიერ გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

დირექტორთა და მენეჯმენტის სხვა წევრების ანაზღაურება წლის განმავლობაში შეადგენს შემდეგს:

	ლარი		ცვლილება, ყოველწლიური %	აშშ დოლარი	
	ათასი			ათასი*	
მენეჯმენტის წევრების ანაზღაურება	2015	2016		2015	2016

ხელფასი	85	139	64%	37	59
სულ	85	139	64%	37	59

შენიშვნა: *2016 და 2015 წლების შემოწმებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან ამოღებული ფინანსური მონაცემები ქართულ ლარში, გადაყვანილი აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური საშუალო წლიური გაცვლითი კურსით, რაც 2015 წლისთვის შეადგენს 2.2702, ხოლო 2016 წლისთვის 2.3667.

ამასთან ერთად, შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერმა“ გასწია გარკვეული ადმინისტრაციული ხარჯები დაკავშირებულ მხარეებთან.

	ლარი		ცვლილება, ყოველწლიური %	აშშ დოლარი	
	ათასი	ათასი		ათასი*	ათასი*
გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარესთან	2015	2016		2015	2016
იჯარის ღირებულება	-	18	nm	-	8
დანაკარგი ძირითადი საშუალებების რეალიზაციაზე	-	8	nm	-	3
სულ	-	26	nm	-	11

შენიშვნა: *2016 და 2015 წლების შემოწმებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან ამოღებული ფინანსური მონაცემები ქართულ ლარში, გადაყვანილი აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალური საშუალო წლიური გაცვლითი კურსით, რაც 2015 წლისთვის შეადგენს 2.2702, ხოლო 2016 წლისთვის - 2.3667.

ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი და განთავსების აგენტი, სესხის ერთ-ერთი ორგანიზატორი ბანკი, საანგარიშსწორებო და გადამხდელი აგენტი - სს „სილქ როუდ ბანკი“ დაკავშირებული პირები არიან. ამ პირების მმართველი საბჭოს (დირექტორთა საბჭო) წევრები შეიძლება ერთდროულად იყვნენ სხვა დაკავშირებული მხარეების მმართველი საბჭოს წევრები. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პირები (და მათი მმართველი საბჭოს წევრები) მოქმედებენ ობლიგაციების გაცემასთან დაკავშირებული გარიგებების დადების/დამტკიცების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის ინტერესთა

კონფლიქტის შესახებ კანონმდებლობის) მოთხოვნების შესაბამისად, და ყველა ასეთი გარიგება გაფორმებულია ბაზრის პირობების გათვალისწინებით, ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება გახდეს დამატებითი რისკ-ფაქტორი ინვესტორებისთვის.

ემიტენტის მმართველი ორგანოების წევრებსა და კომპანიის რეგისტრატორს, სს „კავკასრეესტრ“-ს (ს/კ 211369115; ლიცენზიის №70002) შორის მოცემულ მომენტში არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. შპს „ბახვი ჰიდრო პაუერისთვის“ ასევე უცნობია იმ გარემოებების თაობაზე, რამაც მომავალში შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთან კონფლიქტი სს „კავკასრეესტრ“-თან მიმართებაში. ინტერესთა კონფლიქტის შეფასებისას ემიტენტი ხელმძღვანელობს ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონის 16¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმებით.

ობლიგაციების გამოშვების პირობები

კომპანიის სამთვალყურეო საბჭოს კრების მიერ 2017 წლის 3 ოქტომბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჯამური 1 265 000 (ერთი მილიონ ორასსამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების მქონე ფიქსირებული 9.4 პროცენტის ობლიგაციების გამოშვების შესახებ. ობლიგაციების დაფარვის ვადად განისაზღვრა 10 წელიწადი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან, რაც არის 2027 წლის 3 ნოემბერი. ობლიგაციების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები რეგულირდება წინამდებარე პროსპექტით. გარდა პროსპექტის სხვა თავებში (მათ შორის, „შეთავაზების ძირითად პირობებში“) აღწერილი ობლიგაციების გამოშვების პირობები მოცემულია მოცემულ თავშიც - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

ობლიგაციები გამოშვებულია არამატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1 000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი.

ობლიგაციებზე საკუთრების უფლება დასტურება რეგისტრაციით ფასიანი ქაღალდების რეესტრში („ფასიანი ქაღალდების რეესტრი“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს ემიტენტი „შეთავაზების ძირითად პირობებში“ მითითებული რეგისტრატორის („რეგისტრატორი“) მეშვეობით ემიტენტსა და „რეგისტრატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებები და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

ობლიგაციების შეთავაზებას ემიტენტის სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს განთავსების აგენტი. საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, ობლიგაციებით დაინტერესების მიზნით, განთავსების აგენტს ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული პროსპექტი დააგზავნონ პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, ემიტენტი ახდენს ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ემიტენტი ობლიგაციების შეთავაზების შესახებ შეტყობინებას აქვეყნებს საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, პროსპექტის ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან პროსპექტის დაბეჭდილ ასლს აწვდიან. საბოლოო პროსპექტი პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდება (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად საზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

თუ საჯარო შეთავაზების პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით)) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი

განაცხადოს მასზე.

საჯარო შეთავაზების დასრულების შემდეგ, განთავსების აგენტი აცხადებს შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ობლიგაციების ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების დასრულების შესახებ გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა („ხელმომწერი ინვესტორები“) განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა, აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის ობლიგაციების შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმომწერმა ინვესტორმა“ აღნიშნული საბროკერო ანგარიში უნდა გახსნას განთავსების აგენტთან. ემიტენტი ამავე ანგარიშზე აწვდის „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ შესყიდულ ობლიგაციებს „გამოშვებისა და განთავსების დღეს“. გამონაკლის შემთხვევებში, განთავსების აგენტს შეუძლია ერთპიროვნულად დართოს ნება „ხელმომწერი ინვესტორს“ ობლიგაციების გამოსასყიდი თანხები, ნაცვლად განთავსების აგენტთან გახსნილი საბროკერო ანგარიშისა, განათავსოს განთავსების აგენტთან გახსნილ ემიტენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციების „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ მიწოდება ხდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ ფლობდნენ ობლიგაციებს სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ ან „რეგისტრატორთან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

(ბ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში (საჯარო შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“ პერიოდი) ემიტენტი გადაწყვეტს შეცვალოს ობლიგაციების შესახებ არსებითი ინფორმაცია, როგორცაა ფასიანი ქაღალდების ოდენობა, ფასი, შეთავაზების ვადა და სხვა, იგი მიმართავს შემდეგ პროცედურას:

- (i) საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს პროსპექტში შესწორებას, მასში შეტანილი ყველა ცვლილების განმარტებით;

(ii) შეტყობინებას აქვეყნებს ემიტენტის ვებ-გვერდზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საშუალებით, სადაც ასევე მიუთითებს შეცვლილი ინფორმაციის შესახებ დეტალებს; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და ახორციელებს შეთავაზებას მითითებულ თარიღამდე ობლიგაციების გაყიდვაზე ყველა ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე;

(iii) ინვესტორებს განუსაზღვრავს არანაკლებ 10 დღის ვადას გაუქმებაზე რეაგირებისათვის, რის შემდეგაც უფლებამოსილია განახორციელოს შეცვლილი საჯარო შეთავაზება.

თუ პროსპექტში შესწორება შედის ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, ობლიგაციების შემძენ ინვესტორებს უფლება ეძლევათ უარი განაცხადონ შესყიდულ ობლიგაციებზე და მოითხოვონ მათი დაუყოვნებლივ განაღდება ნომინალური ღირებულებისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჯამის ფასად. ინვესტორები („ობლიგაციონერები“), რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ობლიგაციებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.

თუ პროსპექტში მითითებული სხვა არაარსებითი ინფორმაცია საჯარო შეთავაზების პროცესში შეიცვალა, ემიტენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ ცვლილების ამსახველი დოკუმენტი, ვიდრე მოცემულ ცვლილებას პროსპექტში შეიტანდეს ეროვნული ბანკის წესებით დადგენილი პროცედურის მიხედვით.

(გ) ობლიგაციების გასხვისება

ობლიგაციების გასხვისება ხდება საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით) დადგენილი წესით, საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. ობლიგაციების გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ობლიგაცი(ებ)ზე საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“. ობლიგაციების განთავსების შემდგომ შემდეგების დაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ ობლიგაციების განთავსების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში, ემიტენტი მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე. სავაჭრო სისტემაში დაშვების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ობლიგაციებით გარიგებების დადება საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

3. სტატუსი

ობლიგაციები წარმოადგენს ემიტენტის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას. ობლიგაციებს ექნებათ იდენტური სამართლებრივი სტატუსი ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე. ობლიგაციებთან დაკავშირებული ემიტენტისადმი მოთხოვნები ყოველთვის იქნება ემიტენტის სხვა დანარჩენი არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნების თანაბარი გადახდევინების ნაწილში („პირობების“ 4(ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებით), გარდა ისეთი მოთხოვნებისა, რომელთაც კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების შესაბამისად გააჩიათ უპირატესობა.

4. დათქმები

(ა) შეზღუდვა აქტივების განკარგვაზე: ობლიგაციების განადღებამდე ემიტენტმა არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე აქტივზე და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ მოახდინოს მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა ან არსებობა (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფებისა“) რაიმე „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. აღნიშნული აკრძალვა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციებიდან გამომდინარე ემიტენტის ვალდებულებებს ამავდროულად (ან მანამდე) გააჩნიათ ამგვარი სხვა „ვალდებულების“ თანაბარი უზრუნველყოფები, ან სხვაგვარად არიან უზრუნველყოფილნი „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ მოწონებული უზრუნველყოფის საშუალებებით და პირობებით.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

(i) ემიტენტმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ყველა „მნიშვნელოვანი შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 4(გ) ქვე-პუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა, ასევე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

(ii) ემიტენტმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განხორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა „ობლიგაციების“

გამომწვევასთან დაკავშირებით ნაკისრი მისი ვალდებულებების კანონიერად შესრულებისათვის და საქართველოში „ობლიგაციების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა: „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ დადასტურებული თანხმობის გარეშე, ემიტენტმა არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(i) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ ემიტენტი, ან თუ ამგვარი „პირი“ არ არის ემიტენტი, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად აღიარებს ობლიგაციებიდან გამომდინარე ყველა უფლებას და ვალდებულებას, ობლიგაციონერების „სპეციალური გადაწყვეტილებით“ მოწონებული ფორმითა და პირობებით,

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის ემიტენტი) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს ემიტენტის უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის საქმიანობს;

(ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და

(iii) ზემოხსენებულ (გ.i) ან (გ.ii) პუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს არსებითად საზიანო შედეგს.

(დ) გასხვისება: გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი დათქმაა გათვალისწინებული წინამდებარე „პირობებში“, და „პირობების“ 4(გ) პუნქტის („შერწყმა“) და 4(ე) პუნქტების („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“) დებულებების შეუზღუდავად, ემიტენტი არც თავად და არც რომელიმე მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ საშუალებით არ გაყიდის, გაასხვისებს, იჯარით გასცემს ან სხვაგვარად განკარგავს მისი აქტივებს ან

შემოსავლებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ გარდა სხვა რომელიმე „პირზე“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც (i) ყველა ასეთი ტრანზაქცია ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და საბაზრო პირობებით; და (ii) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, როდესაც ხდება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10 პროცენტზე მეტის გასხვისება, გასხვისებამდე ემიტენტი ვალდებულია ობლიგაციონერებს მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“.

წინამდებარე 4(დ) პუნქტი არ შეეხება (i) ტრანზაქციებს ემიტენტსა და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის, (ii) ნებისმიერი იმ აქტივის ან ქონების (მათ შორის ფულის და ფასიანი ქაღალდების) ნებისმიერ გადაცემას, იჯარას, გასხვისებას ან სხვა ფორმით განკარგვას, რომელიც წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას“, (iii) მისი სასაქონლო მარაგებიდან ქონების იჯარით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას ჩვეულებრივისამეწარმეო საქმიანობის პროცესში, ან (iv) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება უზრუნველყოფას მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებული უნდა იყოს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და „ნებადართული უზრუნველყოფის“ განმარტების (ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად დატვირთული აქტივებისა და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა არ აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 50 პროცენტს.

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

(i) არც ემიტენტი და არც მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განხორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“), მათ შორის, „ჯგუფის“ შიდა სესხების გაცემას ან მიღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის

გათვალისწინებით) არ არის ნაკლებად ხელსაყრელი ემიტენტისთვის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებითა“ და პირობებით განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არაა ემიტენტთან ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(ii) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე ჯგუფის მთლიანი აქტივების 5 პროცენტს, ემიტენტმა აღნიშნული ტრანზაქციის განხორციელებამდე ობლიგაციონერებს უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ტრანზაქცია განხორციილდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და პირობებით.

(iii) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (i) და (ii) ქვეპუნტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) ემიტენტსა და მის 100%-იან „შვილობილს“ შორის განხორციელებული ტრანზაქციები;

(გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც ემიტენტთან სხვაგვარად ასოცირებულნი არ არიან;

(დ) ემიტენტის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი მეწილის ემიტენტისათვის მეწილის სამეწარმეო საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სესხი ან სხვა დაფინანსების საშუალება, რომელიც მიღებულია საბაზრო პირობებით; და

(ე) ნებისმიერი სადაზღვევო ხელშეკრულება „აფილირებულ პირებთან“, რომელიც დადებულია ემიტენტისსამეწარმეო საქმიანობის ან აქტივების დასაზღვევად საბაზრო პირობებით.

(ვ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები: ემიტენტმა და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილებმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრებათ მათ (შემოსავალზე, მოგებაზე, ქონებაზე და ა.შ.), იმ პირობით, რომ

ემიტენტს ან მის „მნიშვნელოვან შვილობილებს“ ამ პროსპექტის მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „გადასახადების“ გადაუხდელობაზე, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული სამართლებრივი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი „გადასახადების“ თანხა, სხვა დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავს მოთხოვნებთან ერთად არ აღემატება 500 000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს.

(ზ) აკრძალული გადახდები: ემიტენტმა არ უნდა, და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილებმა“ (ა) არ განაცხადონ დივიდენდების გაცემის თაობაზე, ან გასცენ დივიდენდი ფულადი ან სხვა სახით, ან მოახდინოს მსგავსი განაწილება (მათ შორის, აქციების გამოსყიდვის ან სხვა სახით, გარდა ემიტენტის ან მისი „შვილობილების“ სასარგებლოდ დივიდენდების გაცემისა და მათი განაწილებისა ხოლო, თუ „შვილობილი“ არ არის ემიტენტის 100%-იანი „შვილობილი“, სხვა პარტნიორების სასარგებლოდაც მათი წილის პროპორციულად; ან (ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებაყოფლობით არ შეიძენს, გამოისყიდის ან სხვაგვარად მოახდენს საკუთარი აქციების შეძენას, ან მოახდინოს სუბორდინირებული სესხის დაბრუნების ვადამდე გადახდა (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის დროდადრო გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილის“ მიერ, ემიტენტის რომელიმე „შვილობილი კომპანიისათვის“. ნებისმიერი ამგვარი ქმედება, რომელიც განსაზღვრულია (ა) ან (ბ) პუნქტებით, მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“. ამასთან, ზემოაღნიშნული ქმედებები და ტრანზაქციები ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“ თუ:

(i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“;

(ii) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ განხორციელებულ ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:

(ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 100 პროცენტს (რომელიც გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით“) 2016 წლის 31 დეკემბრით დაწყებული და უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლით დასრულებული პერიოდისათვის,;

(ბ) ემიტენტის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რეალიზაციიდან და ამავე პერიოდში ემიტენტის ნებისმიერი

„ვალდებულების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.

(თ) ვალდებულება:

(i) ემიტენტს ეკრძალება, რომ პასუხისმგებლობა აიღოს, ან სხვა სახით იკისროს ნებისმიერი სახის „ვალდებულება“, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

ა) ჯგუფის ჯამური „ვალდებულება“, გარდა ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი პირობითი ვალდებულებებისა (მათ შორის გარანტიებისა/თავდებობებისა), დროის ნებისმიერ მონაკვეთში არ გადაჭარბებს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 90 (ოთხმოცდაათი) პროცენტს; და

ბ) ჯგუფის ჯამური „ვალდებულება“, გარდა ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი პირობითი ვალდებულებებისა (მათ შორის გარანტიებისა/თავდებობებისა), რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის ქონებით, დროის ნებისმიერ მონაკვეთში არ გადაჭარბებს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 90 (ოთხმოცდაათი) პროცენტს.

(ii) ნებადართულია შემდეგი ფინანსური ვალდებულებები რომელსაც არ ეხება (თ)(i) პუნქტში არსებული დათქმა:

ემიტენტსა და მის „შვილობილს“ შორის ვალდებულება და ემიტენტის შვილობილებს შორის ვალდებულება.

(ი) ფინანსური ინფორმაცია:

(i) ემიტენტი ვალდებულებას კისრულობს ფინანსური წლის დასრულებიდან 120 დღის ვადაში ემიტენტის ვებ-გვერდზე განათავსოს განვლილი ფინანსური წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი „აუდიტორის“ დასკვნასთან ერთად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული უნდა იყოს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე;

(ii) ემიტენტი ვალდებულებას კისრულობს ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 60 დღის ვადაში ემიტენტის ვებ-გვერდზე

განათავსოს განვლილი ექვსი თვის არააუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის ასლი, რომელიც მომზადებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ საფუძველზე.

(iii) თუ “ ობლიგაციების საერთო მოცულობის 25%-ზე მეტის მფლობელ „ობლიგაციონერებს“ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ მეშვეობით) გონივრული საფუძველი ექნებათ ივარაუდონ, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შეუძლია ემიტენტისაგან წერილობით მოითხოვოს, და ემიტენტი ვალდებულია “ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. ამგვარი მოთხოვნის მიღება ასევე შეიძლება „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით.

(კ) დაზღვევა: ემიტენტი უზრუნველყოფს თავისი და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილების“ ქონების დაზღვევას დაზიანებისა და განადგურების რისკისგან, ემიტენტისა და შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ შეხედულებით, კარგი რეპუტაციის მქონე მზღვეველებთან იმ ფარგლებში, რომელშიც ჩვეულებრივ ახდენენ დაზღვევას მსგავსი ქონებისა და მდგომარეობის მქონე კომპანიები საქართველოში.

(ლ) კანონმდებლობასთან შესაბამისობა: ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ის და მისი „მნიშვნელოვანი შვილობილები“ ნებისმიერ დროს დააკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და მარეგულირებელ წესებს.

(მ) საქმიანობის ცვლილება: ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვლება ობლიგაციების „გამოშვების და განთავსების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

5. საპროცენტო სარგებელი

თითოეულ ობლიგაციას ერიცხება საპროცენტო სარგებელი „განთავსების თარიღიდან“ 9.4%-ის ოდენობით. დარიცხული საპროცენტო განაკვეთი გადაიხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ყოველი წლის 3 მაისს და 3 ნოემბერს (შემდგომში „პროცენტის გადახდის თარიღი“). პირველი გადახდა მოხდება 2018 წლის 3 მაისს. ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება მათი დაფარვის/გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდება ძირითადი თანხა. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით მანამ, სანამ ამგვარი

ობლიგაციაზე გადასახდელი თანხა სრულად არ იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერისთვის“ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის.

თუ პროცენტის დათვლა ხდება ერთ სრულ წელიწადზე ნაკლები პერიოდისთვის, ან „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე.

ობლიგაციების „განთავსების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად) პერიოდი, და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

6. ობლიგაციების გამოსყიდვა და შექმნა

(ა) გამოსყიდვა: ემიტენტს უფლება აქვს გამოსყიდვის თარიღამდე მოახდინოს ობლიგაციების მთლიანად (და არა ნაწილობრივ) გამოსყიდვა ობლიგაციონერ(ებ)ისათვის არანაკლებ 30 სამუშაო დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით და გადაუხდელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის შეთავაზებით. თუ ობლიგაციები მანამდე არ იქნება განაღდებული, გამოსყიდული ან გაუქმებული, ობლიგაციების გამოსყიდვა მოხდება 10 წელიწადში ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან, რაც არის 2027 წლის 3 ნოემბერი ძირითადი თანხის (ნომინალის) და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის გადახდით.

(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით: ემიტენტის შეხედულებით, ობლიგაციების ვადამდე გამოსყიდვა შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (და არა ნაწილობრივ), „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“ არანაკლებ 30 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (i) შეტყობინების გაგზავნამდე ემიტენტი დაუსაბუთებს „ობლიგაციონერებს“, რომ მას უწევს ან მოუწევს გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით, „გამომშვებისა და განთავსების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ii) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ემიტენტის მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.

(გ) შეძენა: ემიტენტს და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ ობლიგაციები ნებისმიერ ფასად საფონდო ბაზარზე ან სხვაგვარად. ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ საკუთრებაში არსებული ამგვარი ობლიგაციები არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა კრებაზე“ და არ მიიღება მხედველობაში „პირობების“ 10.(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნით, ან „ობლიგაციონერთა კრების“ ქვორუმის დადგენის მიზნით.

7. გადახდები

(ა) გადახდის მეთოდი:

(i) ობლიგაციების ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელებისათვის“ მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე 2 სამუშაო დღით ადრე (18.00 სთ-ზე) („სააღრიცხვო თარიღი“). ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარებში, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ „რეგისტრატორებს“ მიეწოდოთ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაცია მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც ემიტენტი, „რეგისტრატორი“ და არც „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან „ნომინალური მფლობელი“ „რეგისტრატორს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშსწორებისა და ძირითად გადამხდელ აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს საბანკო მიმსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის აშშ დოლარში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის

თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, ემიტენტი ვალდებულია ასეთი ნაკლები თანხა გადაანაწილოს „ობლიგაციონერებს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(iv) „ემიტენტის“ ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნით, „სააღრიცხვო თარიღიდან“ შესაბამის გადახდის თარიღამდე ობლიგაციებით მეორადი ვაჭრობა შესაძლოა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

(ბ) აგენტების დანიშვნა: „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“, ისევე როგორც მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და პროსპექტის ბოლოს. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ემიტენტის აგენტებს და, ამ პროსპექტის და შეთავაზების მიზნებისათვის, არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ნომინალური მფლობელების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. ემიტენტი უფლებას იტოვებს „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ დადასტურებული თანხმობით შეცვალოს ან შეწყვიტოს „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტთან“, „განთავსების აგენტთან“ ან/და „რეგისტრატორთან“ ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“. ამასთან ემიტენტს ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს (i) „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ და (ii) „რეგისტრატორი“, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში „ობლიგაციონერების“ „სპეციალური გადაწყვეტილებით“ მოწონებული დასტურით. ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციაში ცვლილებაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“.

(გ) გაანგარიშება და გადახდა: ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხა (მათ შორის, საპროცენტო სარგებელი) უნდა დაიანგარიშოს და გადაიხადოს ემიტენტმა ან „ანგარიშსწორებისა და გადამხდელმა აგენტმა“ წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას ემიტენტისათვის. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება ემიტენტს. თუ ემიტენტი გადაწყვეტს, რომ ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტის“ მეშვეობით, ის ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე ერთი სამუშაო დღით ადრე „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტთან“ გახსნილ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები აშშ დოლარებში და დავალება მისცეს „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „ანგარიშსწორებისა და გადამხდელი აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა

ვალდებული, ემიტენტის ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ობლიგაციებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების გადარიცხვა, ხოლო ანგარიშზე საკმარისი თანხების არარსებობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტს“ და „ობლიგაციონერებს“.

(დ) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები: „ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, პირგასამტეხლოს ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

8. დაბეგვრა

ემიტენტის მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ. თუ ემიტენტი გადაწვეტს, საკუთარი შეხედულებისამებრ, რომ პროცენტის ნებისმიერი გადახდა ექვემდებარება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისგან გათავისუფლებას, ემიტენტმა არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციონერები“, რომლებსაც უფლება აქვთ ისარგებლონ გადასახადების ასეთი გათავისუფლებისგან, მიიღებენ მთლიან თანხას, დაქვითვის გარეშე.

9. დეფოლტის შემთხვევები

თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), „ობლიგაციონერები“ ერთობლივად,- თუ ცალ-ცალკე უფლებამოსილი არიან, ემიტენტისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვოს ემიტენტისაგან ობლიგაციების დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა: ემიტენტი ვერ შეძლებს ობლიგაციების ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან ობლიგაციებიდან გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულებების დარღვევა: ემიტენტი არ/ვერ ასრულებს პროსპექტით ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ისეთ ვალდებულებას (გარდა „პირობების“ 9(ა) პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), რაც (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ არ აღმოიფხვრა დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ ემიტენტისთვის გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი: (i) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ექვემდებარება (ან შესაძლებელია დაექვემდებაროს) დათქმულ ვადამდე გადახდას, დეფოლტის ნებისმიერი შემთხვევის მიზეზით, ან (ii) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულება“ არ შესრულდება დათქმულ დროში, ან წინასწარ განსაზღვრულ დამატებით ვადაში, ან (iii) ემიტენტი ან რომელიმე მისი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ ვერ იხდის ნებისმიერ სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულებას“ დათქმულ დროში, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ „პირობების“ ამ 9(გ) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ამგვარი შეუსრულებელი „ვალდებულებ(ებ)ის“ ჯამური მოცულობა, „ობლიგაციონერების“ გონივრული შეფასებით, შეადგენს ან აღემატება 500 000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში; ან

(დ) გადახდისუუნარობა:

(i) რომელიმე შემდეგი შემთხვევის დადგომა: (i) ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ სალიკვიდაციო პროცესის ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება; ან (ii) ნებისმიერი პირის მიერ ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ წინააღმდეგ გადახდისუუნარობის პროცესის წამოწყება, თუკი ამგვარ მოთხოვნაზე ამ პირს უარი არ ეთქვა მოთხოვნის წარდგენიდან 60 დღის განმავლობაში; ან (iii) ემიტენტსა და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკებების დაწყება ემიტენტის ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან (iv) ემიტენტის ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის წამოწყება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე;

(ii) ემიტენტი ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არ იხდის ან ზოგადად არ შესწევს უნარი გადაიხადოს ვადამოსული ვალები დროულად; ან

(iii) ემიტენტის პარტნიორები დაამტკიცებენ ემიტენტის ლიკვიდაციის ან ემიტენტის დაშლის რაიმე გეგმას;

- (ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები: ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება 500 000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან ამგვარი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოწვევს (ა) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას, (ბ) ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ სააქციო კაპიტალის სრული ან უმრავლესი წილის, ასევე მისი შემოსავლების ან აქტივების სრულ ან ნაწილობრივ (მთლიანი საბალანსო ღირებულების 20 პროცენტის ან მეტი ოდენობის) ჩამორთმევას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციას ან იძულებით გასხვისებას; ან
- (ვ) აღსრულება: ემიტენტის ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის (რაც აღემატება საბალანსო ღირებულების 20%-ს) მიმართ ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მათი მფლობელობაში მიღება ან გასხვისება; ან
- (ზ) უფლებამოსილება და თანხმობები: არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან გარემოება (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობა, განკარგულება, მოწონება, ავტორიზაცია, გამონაკლისის დაშვება, რეგისტრაცია, ლიცენზია, ბრძანება, ჩანაწერი, რეგისტრაცია ან სხვა უფლებამოსილება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) ემიტენტმა კანონიერად შეძლოს, თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, და ობლიგაციებიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულებების, ამ „პირობების“ მე-4 პუნქტიდან („დათქმები“) გამომდინარე ვალდებულებების, და ობლიგაციებიდან გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) ობლიგაციები, პროსპექტი და ხელშეკრულება დასაშვებ იქნას საქართველოს სასამართლოში მტკიცებულების სახით; ან
- (თ) ნამდვილობა და უკანონობა: ემიტენტი სადავოდ ხდის ობლიგაციების ან პროსპექტის, ნამდვილობას, ან უარყოფს ობლიგაციებიდან ან პროსპექტიდან გამომდინარე რომელიმე ვალდებულებას, ან ემიტენტის მიერ ობლიგაციების ან პროსპექტის ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი ვალდებულების შესრულება არის ან გახდება

უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

ემიტენტი ვალდებულია შეტყობისთანავე აცნობოს "ობლიგაციონერებს" „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის ან/და სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ („პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).

ემიტენტი ვალდებულია წლიური შემოწმებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში, „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 დღის განმავლობაში და „ობლიგაციონერებს“ მიერ ერთობლივად ან ცალცალკე მოთხოვნის წარდგენიდან 14 დღის ვადაში, "ობლიგაციონერებს" მიაწოდოს მისი დირექტორის მიერ ხელმოწერილი წერილობითი დასტური იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით არ დამდგარა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, და „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“ ადგილი არ ჰქონია არც წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში, ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

10. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

„ობლიგაციონერების“ კრებები: „პროსპექტი“ შეიცავს „ობლიგაციონერების“ კრებების მოწვევის თაობაზე დებულებებს იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე, მათ შორის პროსპექტის შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით მიღებული გადაწყვეტილების („სპეციალური გადაწყვეტილება“) თაობაზე წინამდებარე „პირობებში“ ცვლილებების და დამატებების შეტანაზე თანხმობის მიცემის მიზნით. „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ნომინალურ მფლობელებს“), რომლებიც ფლობენ განთავსებული ობლიგაციების არანაკლებ 10 პროცენტს მაინც, უფლება აქვთ მოიწვიონ „ობლიგაციონერების“ კრებები. „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმი შედგება, თუ კრებას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ იმ დროისთვის განთავსებული ობლიგაციების ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში, თუ მას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ იმ დროისთვის განთავსებული ობლიგაციების 25 პროცენტზე მეტს, ან ნებისმიერი მომდევნო „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში, თუ მას ესწრება ორი ან მეტი პირი, რომლებიც იმ მომენტისთვის არიან განთავსებული ობლიგაციების მფლობელები ან წარმოადგენენ მათ, მიუხედავად

მათ მფლობელობაში არსებული ან წარმოდგენილი ობლიგაციების რაოდენობისა. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ამგვარი კრების მიერ განსახილველი საკითხი, სხვა თემებთან ერთად, მოიცავს შემდეგს: (i) ობლიგაციების ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდის ნებისმიერი დადგენილი თარიღის შეცვლა, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი თანხების დაანგარიშების მეთოდის ცვლილება, (iii) ობლიგაციების ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის ოდენობის ცვლილება, (iv) თანხმობის განცხადება ემიტენტის ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში ობლიგაციების გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (v) ობლიგაციებთან დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლა (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობით), (vi) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო ქვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობაში ცვლილება, (vii) წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის“ განმარტების ცვლილება. ასეთ გამონაკლის შემთხვევებში, ქვორუმის არსებობისათვის აუცილებელია კრებას დაესწროს ორი ან მეტი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ განთავსებული ობლიგაციების არანაკლებ 2/3 (ორ მესამედს), ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში – არანაკლებ 1/3 (ერთ მესამედს). სათანადო წესით მიღებული ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება“ შესასრულებლად სავალდებულო იქნება „ობლიგაციონერებისათვის“ (მიუხედავად იმისა, ისინი ესწრებოდნენ თუ არა იმ კრებას, რომელზეც ეს გადაწყვეტილება მიიღეს).

იმ „ობლიგაციონერების“ მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ განთავსებული ობლიგაციების 75%-ს ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთიდაიგივე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ.

11. აღსრულება

ნებისმიერ დროს მას შემდეგ, რაც დადგება ობლიგაციების გადახდის ვადა, „ობლიგაციონერები“ ერთობლივად ან ცალ-ცალკე უფლებამოსილი არიან საკუთარი შეხედულებისამებრ და დამატებითი შეტყობინების გარეშე მიმართონ ნებისმიერ ზომას ემიტენტის წინააღმდეგ, რასაც ისინი მიიჩნევენ მიზანშეწონილად ობლიგაციების პირობების შესრულების მიზნით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ნებისმიერი „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან სხვა „ობლიგაციონერებთან“

ერთად მიმართოს სასამართლოს, თუკი (i) შესაბამისი გადასახდელის გადახდის ვადიდან გასულია 3 (სამი) თვე ან მეტი, (ii) გადასახდელი თანხა არ არის გადახდილი ემიტენტის მიერ სრული ოდენობით.

12. შეტყობინებები

ემიტენტი “ობლიგაციონერებს” შეტყობინებებს უგზავნის „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ მითითებულ მისამართებზე. ამასთან, შეტყობინება „ობლიგაციონერების“ „განმეორებითი კრების“ მოწვევის თაობაზე აუცილებელი წესით უნდა გაიგზავნოს „ობლიგაციონერების“ ან/და „ნომინალური მფლობელების“ იმ მისამართებზე, რაც მითითებულია „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“.

„ობლიგაციონერებმა ემიტენტის მისამართით ნებისმიერი შეტყობინება ფოსტით უნდა გაგზავნოს ემიტენტის მისამართზე.

13. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე “პირობებში” გამოყენებულ ტერმინებს (თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

„განმეორებითი კრება“ არის “ობლიგაციონერთა” განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმი.

„აფილირებული პირი“ რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული მასთან, რომელიც აკონტროლებს ან კონტროლდება, პირდაპირ ან ირიბად, ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად საერთო კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“, ან „პირის“ შვილობილი კომპანიის, ან (ა) პუნქტით განსაზღვრული სხვა პირის დირექტორი ან ხელმძღვანელი პირი.

„ობლიგაციონერი“ ნიშნავს ობლიგაციების რეგისტრირებულ მესაკუთრეს (როგორც ეს განმარტებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში“).

„სამუშაო დღე“ არის ნებისმიერი დღე (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები ახორციელებენ გადახდებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, სავალუტო ოპერაციებს) თბილისში.

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ ტრანზაქციასთან მიმართებით არის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის კომერციული შეთანხმების დროს. ასეთი შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე არ ხორციელდება) და ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე არ ხორციელდება) შორის.

„ჯგუფი“ მოიცავს ემიტენტს და მის „შვილობილებს“ ერთობლიობაში.

„კონტროლი“, წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს ემიტენტის მართვის, პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის შესაძლებლობას, სააქციო კაპიტალის ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად.

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ („IFRS“) არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელსაც გამოსცემს საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭო, ასევე ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

„IFRS ფისკალური პერიოდი“ არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც ემიტენტს მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად, რაც „აუდიტორების“ მიერ არის აუდირებული ან მიმოხილული.

„ვალდებულება“ ნებისმიერი „პირის“ მიმართ ნებისმიერი მომენტისათვის არის:

- (ა) ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;
- (ბ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულება, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, სავალო ქვალდებულებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან;
- (გ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეული საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით;
- (დ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულება ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებით;
- (ე) სხვა „პირების“ ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის“ აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო

წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის ღონისძიებით“, მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი“ აღნიშნული სხვა „პირების“ ვალდებულებებს;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანება, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არაუმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდული ნებისმიერი თანხა, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას;

(თ) ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან; და

(კ) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდული თანხა, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია.

და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი დადგება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.

„წმინდა ფინანსური ვალდებულებები“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით, განსაზღვრის ნებისმიერ დღეს (დუბლირების გარეშე), „ვალდებულებას“ მინუს ფულადი სახსრები.

„დამოუკიდებელი შემფასებელი“ არის „აუდიტორული კომპანია“ ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელსაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეარჩევს ემიტენტი და დაამტკიცებენ ობლიგაციონერები იმ პირობით, რომ ეს კომპანია ან მესამე მხარე არ იქნება ემიტენტთან „აფილირებული პირი“.

„გამოშვების და განთავსების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების გამოშვება და განთავსება, როგორც ეს მოცემულია პროსპექტის თავში - „შეთავაზების ძირითადი პირობები“.

„მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის ემიტენტის ნებისმიერი „შვილობილი“:

(ა) რომლის შემოსავლები უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ შეადგენდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული შემოსავლების 5%-ზე მეტს, ან რომელიც უკანასკნელი „ფისკალური პერიოდის“ დასრულებისას ფლობდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მთლიანი აქტივებიდან 5%-ზე მეტს (უკანასკნელი „ფისკალური

პერიოდისათვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ემიტენტის კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით); ან

(ბ) რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება ემიტენტის იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოადგენდა „მნიშვნელოვან შვილობილს“.

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელს “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით.

„ნებადართული უზრუნველყოფა“ არის:

(ა) „გამოშვებისა და განთავსების თარიღისთვის“ არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;

(ბ) „შვილობილის“ მიერ ემიტენტის ან ემიტენტის სრულ საკუთრებაში მყოფი „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;

(გ) „პირის“ „ვალდებულების“ „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ამ „პირის“ ემიტენტთან ან მის „შვილობილთან“ შერწყმა, ან როდესაც ეს „პირი“ გახდა ემიტენტის „შვილობილი“, ამასთან, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ (i) არ წარმოიქმნება ასეთ შერწყმასთან დაკავშირებით, და (ii) არ გავრცელდება ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, ამ შეძენილი „პირის“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივებისა ან ქონებისა);

(დ) ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ მიერ შეძენილ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ წარმოიქმნება ასეთ შეძენასთან დაკავშირებით, და არ გავრცელდება რაიმე სხვა აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, შეძენილი აქტივების ან ქონების ნაყოფისა);

(ე) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გაიცემა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით, ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის, ან მხოლოდ ამ ქონების შეძენის და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების შეძენის ფასის, შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების ან ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ ოდენობას;

- (ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კრედიტისა და დებიტის ბალანსის ურთიერთ გაქვითვის მიზნით;
- (ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ან რომელიმე მათ ნაწილზე, რომელიც გაიცემა მისაღები თანხებით სექიურითიზაციასთან ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ იმ აქტივების ან შემოსავლების ჯამური ღირებულება, რომლებზეც ვრცელდება „უზრუნველყოფის ღონისძიება“ და რომლებიც, „პირობების“ 4(დ) ქვეპუნქტის („გასხვისება“) შესაბამისად, შესაძლოა წარმოადგენდეს სექიურითიზაციის ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსების ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსების საგანს, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 90 პროცენტს;
- (თ) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე, ან მათ ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო ოპერაციის“ შესაბამისად;
- (ი) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან), რაც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირების ოპერაციებს;
- (კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის საგადასახადო და სხვა არანებყოფლობითი „უზრუნველყოფის ღონისძიება“;
- (ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ პუნქტებში (ა)–დან (ლ)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ შესაბამისი უზრუნველყოფის საგნების სამართლიანი საბაზრო ღირებულება არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 90 (ოთხმოცდაათი) პროცენტს.

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება,

ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

„რეპო ოპერაცია“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ-გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

„აკრძალულ გადახდას“ აქვს „პირობების“ 4(ზ) პუნქტით მინიჭებული მნიშვნელობა;

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“ ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

„უზრუნველყოფის ღონისძიება“ ნიშნავს ნებისმიერ გირაოს, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფას (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას);

„შვილობილი“ ნებისმიერ „პირთან“ (შემდგომში „პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე „პირს“ (შემდგომში „მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება „პირველი პირის“ მიერ, ან (ბ) რომელშიც „პირველი პირი“ პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით წარმოიშვა ის (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.

„სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე პირობების 10 პუნქტის მიხედვით „ობლიგაციონერების“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება.

16. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი: პროსპექტი და ობლიგაციები, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია: საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია პროსპექტთან ან ობლიგაციებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე პროსპექტის ან/და

ობლიგაციების გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან პროსპექტიდან ან ობლიგაციებიდან გამომდინარე ნებისმიერ არასახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებით).

ობლიგაციების დაბეგრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან ობლიგაციების შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ობლიგაციების მფლობელებისათვის კერძოდ, ორგანიზაციებისთვის (არაკომერციული, რელიგიური და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საბიუჯეტო დაწესებულებები, საერთაშორისო და დიპლომატიური ორგანიზაციები), ფიზიკური პირებისთვის და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადი დაბეგრას 5 (ხუთ) პროცენტის განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი საპროცენტო შემოსავალი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში.

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და ის არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის (მიუხედავად იმისა ისინი არიან ფიზიკური თუ იურიდიული, რეზიდენტი თუ არა-რეზიდენტი პირები) ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებია და ამ ფასიანი ქაღალდის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის მდგომარეობით, აღემატება 25%-ს (შემდგომში „გამონაკლისი თავისუფალი მიმოქცევიდან“). თუმცა, ამ გამონაკლისის პრაქტიკული ხელმისაწვდომობა არ არის შემოწმებული და შესაბამისად არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ გამონაკლისის გამოყენება მოხდება დროულად ან საერთოდ იქნება თუ არა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოს მიერ ამგვარი გამონაკლისის მინიჭება შესაძლებელია ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული ან შემდგომში იქნეს გაუქმებული თუ ვერ დაკმაყოფილდება 25 პროცენტისანი თავისუფალი მიმოქცევის მოთხოვნა.

ისეთი ობლიგაციების მფლობელებისათვის გადახდილი პროცენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან იმ ქვეყნებში, რომელთაც უფრო ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი გააჩნიათ და საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულნი არიან ოფშორულ იურისდიქციებად, დაიბეგრებიან 15 პროცენტისანი განაკვეთით.

საქართველოში მიღებული საპროცენტო შემოსავლის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი ობლიგაციის მფლობელის რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

ზოგადი მიმოხილვა: ობლიგაციების გასხვისების დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ობლიგაციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება და შემოსავალი არ იბეგრება თუ მას თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი ეხება. თუმცა, ამ გამონაკლისის პრაქტიკული ხელმისაწვდომობა არ არის შემოწმებული და შესაბამისად არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამ გამონაკლისის გამოყენება მოხდება დროულად ან საერთოდ იქნება თუ არა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოს მიერ ამგვარი გამონაკლისის მინიჭება შესაძლებელია ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული ან შემდგომში იქნეს გაუქმებული თუ ვერ დაკმაყოფილდება 25 პროცენტისანი თავისუფალი მიმოქცევის მოთხოვნა.

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ ვრცელდება, შეიძლება წარმოიშვას შემდეგი ქვემოთ მითითებული საგადასახადო ვალდებულები.

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ გავრცელდება, იმ არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება, რომლებსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება, 15 პროცენტის განსაკვეთით იბეგრება (საგადასახადო ბაზა გამოითვლება ნებადართული გამოქვითვების შემდეგ) და გადასახადიგამოითვლება საწყის ფასსა და შემდგომ სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობიდან. თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ ვრცელდება, არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტის განსაკვეთით (საგადასახადო ბაზა გამოითვლება ნებადართული გამოქვითვების შემდეგ), რომელიც გამოითვლება საწყის ფასსა და შემდგომ სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობიდან. თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკური საქმიანობისთვის.

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციის დაბეგვრა

თუ თავისუფალი მიმოქცევის გამონაკლისი არ გამოიყენება, საქართველოში მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება ობლიგაციების გასხვისებისას გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი განაკვეთით). საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ბაზა გამოითვლება შეძენისა და სარეალიზაციო ფასებს შორის სხვაობიდან. თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკური საქმიანობისთვის.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

ობლიგაციების გამოსყიდვისას მფლობელების მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

ზოგადი ინფორმაცია

1. სავარაუდოდ, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვება, არასალისტინგო ფასიან ქალაქდებად (მომავალში მათი ლისტინგში შეყვანის პერსპექტივით), მოხდება ობლიგაციების განთავსების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადისა.
2. კომპანიამ მოიპოვა ყველა საჭირო დასტური, თანხმობა და უფლებამოსილება საქართველოში ობლიგაციების გამოშვებასთან და მიმოქცევასთან დაკავშირებით. ობლიგაციების გამოშვება ნებადართულია ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 3 ოქტომბრის ოქმით.

3. 2015 წლის 31 დეკემბრიდან კომპანიის ფინანსურ ან სავაჭრო პოზიციას არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება და კომპანიას არ მიუღია რაიმე სახის მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი.
4. გასული 12 თვის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია რაიმე ისეთ ადმინისტრაციული, სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმის წარმოებას (მათ შორის კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით მოსალოდნელს ან განზრახულს კომპანიის წინააღმდეგ), რასაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონოდა კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე ან რენტაბელობაზე.
5. შემდეგი დოკუმენტების ასლები ხელმისაწვდომი იქნება გასაცნობად სამუშაო საათებში (უქმეებისა და დღესასწაულების გამოკლებით) წინამდებარე პროსპექტის გამოქვეყნების დღიდან 12 თვის განმავლობაში კომპანიის მისამართზე:
 - (ა) წინამდებარე პროსპექტის ასლი ნებისმიერ კორექტირებულ ვარიანტთან და ნებისმიერ შემოდგომ პროსპექტებთან ერთად;
 - (ბ) კომპანიის ფინანსური ინფორმაციის აუდიტის ანგარიშები, რაც წარმოდგენილია წინამდებარე პროსპექტის დანართში.
6. კომპანიამ შპს „დელოიტი და ტუში“ თანხმობა განაცხადა მათი ანგარიშის წინამდებარე პროსპექტის დანართში ჩართვაზე.

ინფორმაცია ემიტენტის, განთავსების აგენტის, რეგისტრატორისა
და სხვა მნიშვნელოვანი პირების შესახებ

ემიტენტი

შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერ“

საქართველო

თბილისი, 0162,

ჭავჭავაძის გამზირი #49

განთავსების აგენტი და თანამენეჯერი

სს „სილქ როუდ ბანკი“

საქართველო, თბილისი,
ზაარბრიუკენის მოედანი, №2

რეგისტრატორი / თანამენეჯერი

SP Advisors

Craigmuir Chambers PO Box 71 Road Town, ტორტოლა, BVI

ანგარიშსწორების და გადამხდელი აგენტი

სს „სილქ როუდ ბანკი“

საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის
რაიონი, ზაარბრიუკენის მოედანი, №2

რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი“

საქართველო. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-
10 ბლოკი, მე-7 სართული

2016 წლის ფინანსური

ანგარიშგებების აუდიტორი

შპს „დელოიტი და ტუში“

საქართველო, თბილისი, ლადო
ასათიანის #36ა

ხელმოწერილია შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ სახელით

ხელმომწერი

სახელი და გვარი: ზვიად ჩუბინიძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.10.2017



ხელმომწერი

სახელი გვარი: ვახტანგ
ღონღაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს
წევრი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.10.2017

ხელმომწერი

სახელი გვარი: მამუკა შურღაია

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს
წევრი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.10.2017

ხელმოწერი

სახელი გვარი: ივანე ლომაძე

თანამდებობა: ფინანსური დირექტორი

ხელმოწერა:



თარიღი: 27/10/2017


ხელმოწერილია „სილქ როუდ ბანკის“ სახელით:

ხელმოწერი

სახელი გვარი: ალექსანდრე ძნელაძე

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:



თარიღი: 27.10.2017